ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა უფალი ახლოსაა ჩვენთან, უფალი ჩვენთანაა და ჩვენ მადლობას ვწირავთ უფალს. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ გვაძლევს საშუალებას წირვა-ლოცვისა. მე მინდა, დავლოცო ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი სამღვდელოება, ჩვენი ხალხი, რათა ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ უფალი ჩვენთან იყოს, სხვაგან არა არის ამის საშუალება.

ილია მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, თგფთრიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყუილებით და ჭეტებით ბუტ-თის გატანა ყვეყა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 27 აპრილი. 2020 წ. №58 (8984) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ახალი სიკვდილი საჩუქრად მსოფლიოს ხალხებს!

კორონავირუსი და გულუბრყვილო მოსახლეობა



კორონავირუსი, რომლის 40 სახეობაა ცნობილი, გარეგნულად მზის გვირგვინს ჩამოჰგავს და ამის გამო უწოდეს მას კორონა, ანუ გვირგვინი. ყველაზე ცნობილია **ატიპიური პნევმონიის** გამომწვევი ვირუსი, **SARS-Cov**, რომლითაც დაავადებული პირველად 2002 წელს იქნა დარეგისტრირებული; **ახლო აღმოსავლეთის რესპირატორული სინდრომის** გამომწვევი, **MERS-Cov**, რომლითაც დაავადების აფეთქება 2015 წელს მოხდა, და **ახალი ტიპის პნევმონიის (COVID-19)** გამომწვევი, **SARS-Cov-2**, მიზეზი 2020 წლის პანდემიისა.

ვინაიდან ეს უკანასკნელი პირველად ჩინეთის 11-მილიონიან ულამაზეს ქალაქ **უჰანში** დაფიქსირდა, ამიტომ, ლოგიკურად მიიჩნიეს, რომ ვირუსი იმავე ქალაქში არსებული ბიოლაბორატორიიდან გაეპარათ შემთხვევით (თუმცა, არც დივერსიის შესაძლებლობა გამოურიცხავთ) და, შემდეგ, დაავადდა რა იქვე არსებული ცოცხალი ზღვის პროდუქტების ბაზარში მომუშავე რამდენიმე ადამიანი, გავრცელდა ჩინეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

თუ რა წარმოუდგენელი მასშტაბის სასწრაფო ზომები მიიღო ჩინეთმა და რა წარმატებასაც მიაღწიეს ჩინელებმა ვირუსთან ბრძოლაში (ბევრი მოწინავე ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით), ყველამ ვიცით, ამიტომ სხვა, ფართო საზოგადოებისთვის შედარებით უცნობ მხარეებზე შევჩერდები.

იხ. 6-7 გვ.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა

სიტყვა საქმედ უნდა იქცეს!

ყველა ის ნაბიჯი, რომელსაც მთავრობა დგამს, პირველ რიგში გამოწვეულია ჯანმრთელობის, სიცოცხლის დაცვისა და შემდეგ ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარიამ** უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ანტიკრიზისული ეკონომიკური ჯგუფის სხდომაზე განაცხადა, სადაც ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა წარადგინა.

მთავრობის მეთაურმა ხელისუფლების მიერ კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ კრიზისის მენეჯმენტის პროცესს აქვს გარკვეული თავისებურებებიც, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

„მესამე თვეა, საქართველო უმკლავდება გლობალურ ეპიდემიას, რომელმაც ფაქტობრივად ერთ დღეში შეცვალა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების სახე. ამ გლობალურ გამოწვევასთან გამკლავების ნაწილში საქართველოს სახელისუფლებო გუნდი ეყრდნობა პირველ რიგში პროფესიონალების რჩევებს და ასევე მწყობრ, თანმიმდევრულ ნაბიჯებს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატების ერთ-ერთი საფუძველი. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ სირთულეების და დისკომფორტის მიუხედავად, რომელსაც ყოველდღიურად ხვდება ჩვენი თითოეული მოქალაქე, სხვა გზით შეუძლებელია გავუმკლავდეთ ამ გამოწვევას, ამ ბრძოლას, რადგან დღეს არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული რეცეპტი კორონავირუსთან ბრძოლისა, გარდა სოციალური დისტანციის დაცვის, პირბადეების ტარების, მობილობის შემცირების და ა.შ ამიტომ იძულებული გავხდით, მიგვეღო ბევრი საკმაოდ არაკომფორტული ნაბიჯი, რაც ცვლის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ, მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც წინა ხაზზე არიან და იბრძვიან ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ, ხაზგასმით მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, რომლებიც რჩებიან სახლში და იცავენ იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია, რომ გავუმკლავდეთ ამ ვირუსს“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის მეთაურმა კორონავირუსთან ბრძოლის პროცესსა და სპეციალურ ფონდში შეტანილი წვლილისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ფონდ „ქართუს“ და ბიძინა ივანიშვილს, ასევე ყველა ადამიანს, რომელმაც ფონდს ფინანსური დახმარება გაუწია.

მისი თქმით, მთავრობას აქვს 3 ძირითადი საპასუხისმგებლო ზონა. ესაა ეპიდემიის დაძლევა, მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ეკონომიკის სწრაფი ამუშავება. ყველა ის ნაბიჯი, რომელიც ჩვენ გადავდგით და მომავალში გადავდგამთ იქნება ზრუნვის ამ სამი ძირითადი მიმართულებით. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პანდემიასთან ბრძოლა იყოფა გარკვეულ ეტაპებად.

„პირველი ეტაპი გახლდათ გადაუდებელი სასწრაფო დახმარება, როგორც ჩვენი მოქალაქეების სოციალური თვალსაზრისით უზრუნველყოფის მიმართულებით, ისე ჩვენი ეკონომიკის, მეწარმეების დახმარების თვალსაზრისით და ამას თავისი ახსნა და ლოგიკა ჰქონდა. შემდგომ ჩვენ დიდი სამუშაო გავწიეთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან და ფონდებთან იმისთვის, რომ ის დანაკლისი, რომელიც ჩვენმა კრიზისულმა ბიუჯეტმა განიცადა, თანმიმდევრულად შეგვევსო იმ ფინანსური რესურსებით, რომელიც საჭირო იყო და არის დღესაც როგორც ვირუსთან გამკლავების თვალსაზრისით, ასევე, ჩვენი მოქალაქეების სოციალური დახმარებისა და შემდგომი ეკონომიკის აღდგენის თვალსაზრისით. ჩვენ დღეს უკვე გვაქვს გარკვეული შედეგები ამ მიმართულებით და უნდა წარმოვადგინოთ პრეზენტაციის სახით, როგორც ეკონომიკური ჯგუფის, ისე ჩვენი მოქალაქეების წინაშე. რა თქმა უნდა, აქ შესაძლოა იყოს გარკვეული სადისკუსიო თემები, რაზეც შემდგომში შეგვეძლება ვიმსჯელოთ“, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, აღნიშნული პრეზენტაცია ერთობლივი შრომის შედეგია.

„ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის ფასეულობა, რომელიც ამ ეკონომიკურ ჯგუფს გააჩნია, სადაც წარმოდგენილია ხელისუფლების ყველა შტო – პარლამენტი, ეროვნული ბანკი, პრეზიდენტი, საინვესტიციო საბჭო, მთავრობა და საერთო ჯამში თითქმის ყველანი აქ ვართ“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

იხ. 2-3 გვ.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 30 აპრილს

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა

სიტყვა საქმედ უნდა იქცეს!

(პირველი გვერდიდან) პრემიერ-მინისტრის შეფასებით, COVID-19-თან ბრძოლის თვალსაზრისით საქართველოს მონაცემების სხვა ქვეყნებთან შედარებისას, რიცხვები საკმაოდ იმედისმომცემია და ამის ძირითადი არგუმენტია ის, რომ მთავრობამ საკმაოდ ადრე დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

„საქართველოს მთავრობამ საკოორდინაციო საბჭო შექმნა ჯერ კიდევ 28 იანვარს. თუმცა პირველი ინფიცირებული ჩვენ გვყავდა 26 თებერვალს. საბჭოს ფორმატში ყოველდღიურად ვიკრიბებოდით და ვდგამდით იმ ნაბიჯებს, რომელიც იყო საჭირო პანდემიასთან გამკლავების თვალსაზრისით“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საწყის ეტაპზე გამოვლინდა საბჭოს მუშაობის ორი ძირითადი მიმართულება — მოქალაქეების ჯანმრთელობა და საქართველოს ეკონომიკის გადარჩენა.

„მაშინვე გამოვლინდა ორი ძირითადი ფრონტის ხაზი, რომელზეც მოგვიწევდა ბრძოლა — ჯანმრთელობა, მოქალაქეების სიცოცხლის გადარჩენა და საქართველოს ეკონომიკის გადარჩენა. ეს პირველივე დღიდან იყო ჩვენთვის გასაგები და მას შემდგომ, რაც პანდემია ხდებოდა სულ უფრო გლობალური, ეს ნათელი გახდა ყველასთვის“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

„ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ 13 მარტიდან 1 აპრილამდე, იყო სწრაფად მიღებული გადაწყვეტილებები — მოქალაქეების დახმარება კომუნალური გადასახადების თვალსაზრისით და აქ მოვიცავით 1.2 მილიონი მოქალაქე; საუბარია წყლის, დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადასახადზე; გარდა ამისა, ჩვენ დავასუბსიდირეთ 670 ათასზე მეტი ოჯახისთვის ბუნებრივი აირის გადასახადი და ამაში, კრიზისის დაწყების პირველივე დღიდან, ბიუჯეტიდან გავიღეთ 150 მილიონი ლარი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი გახარიამ ასევე ხაზი გაუსვა, რომ სასწრაფოდ გადაწყდა, სახელმწიფოს დაეზღვია ფასების ზრდის რისკი 9 ძირითად პროდუქტზე.

სახელმწიფოს დახმარებით, მოქალაქეებს სესხის მომსახურება 3 თვით გადაუვადდათ, რაც ფიზიკური პირებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მაშინ, როდესაც მათ, ელემენტარულად, შემოსავალი დაკარგეს.

„დღემდე, ამ შეღავათით უკვე ისარგებლა ჩვენმა 600 000-მა მოქალაქემ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი განხორციელდა საბანკო სექტორთან ერთად, თუმცა, აქ სახელმწიფოს, მთავრობის, ეროვნული ბანკის და კერძო საბანკო სექტორის ჩართულობა და პარტნიორობა იყო უაღრესად მნიშვნელოვანი“...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲐᲖᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ, ᲠᲐᲪ ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ.

„ჩვენ მაშინვე მივიღეთ გადაწყვეტილება ქონების და საშემოსავლო გადასახადების 1 ნოემბრამდე გადავადების შესახებ. ამ შეღავათით ისარგებლა 4 500-მა ბიზნესმა და 90 მილიონის ვალდებულებები გადავადდა, თუმცა აქ კარგად ჩანს. რას ნიშნავს გლობალური პანდემიის გამოწვევა, როდესაც შეუძლებელია გრძელვადიანი პროგნოზირება“, — განაცხადა პრემიერმა.

ამასთან ერთად მცირე სასტუმროებს სახელმწიფომ დაუსუბსიდირა 6 თვის საპროცენტო განაკვეთის 80%.

„თუმცა, ყველას კარგად გვესმის, რომ ეს შეღავათი უკვე აქტუალური და საკმარისი აღარ არის და მთავრობა უკვე ფიქრობს იმაზე, ტურისტულ სექტორს დამატებით როგორ მიეხმაროს. ეს არის ის ძირითადი სპეციფიკა, რომელიც ამ გლობალურ პანდემიას ახლავს — შეუძლებელია გრძელვადიან პროგნოზზე მკაცრად, აკადემიურად საუბარი“.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა შემთხვევაში სახელმწიფომ სამშენებლო მასალების ფასის ზრდა 200 მლნ ლარის ოდენობით დააზღვია. მთავრობის მეთაურის შეფასებით, სწრაფი დახმარების კონტექსტში, მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ავტოიმპორტიორებისათვის საბაჟო გადასახადის გადავადებაც.

ეს ყველაფერი იყო ის ძირითადი, ექსტრემალური სასწრაფო დახმარება, რომელიც მთავრობამ გაუწია მოქალაქეებს სოციალურად და მიზნობრივად და, ასევე, ეკონომიკის იმ დარგებს, რომლებმაც პირველი დარტყმა მიიღეს, მათ შორის ტურიზმს. მისივე თქმით, მთავრობა ეცადა, ინფრასტრუქტურული პროექტები არ გაჩერებულიყო.

„შემდეგ ჩვენ გვქონდა გარკვეული პაუზა, რომ დონორებთან ერთად შეგვეფასებინა არსებული ვითარება და მიგვეღო კრიზისული ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები, რამაც აჩვენა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა იქნება 4%, რომ ბიუჯეტი შემოსავლების სახით დაკარგავს 1,8 მილიარდ ლარს, რა თქმა უნდა სწრაფად მივიღეთ გადაწყვეტილება მიმდინარე ხარჯების შემცირების თაობაზე და ამან ჩვენ მოგვცა დაახლოებით 300 მილიონი ლარი, თუმცა ასევე გასათვალისწინებელი იყო, რომ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს ემატებოდა როგორც სოციალური, ეკონომიკური მხარდაჭერის კომპონენტები, ასევე COVID-19-თან გამკლავების, მართვის სამედიცინო ხარჯები და შესაბამისად, ბიუჯეტის დასაბალანსებლად, აშკარა გახდა, რომ ჩვენ გვაკლია 3,9 მილიარდი ლარი. უკვე გვქონდა ჩვენ გარკვეული სამოქმედო გეგმა, რომ დაგვეწყო მუშაობა, როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან, ასევე დონორებთან“, — განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს დაუდუსტურდა უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერა და ეს გამოიხატება იმაში, რომ სტრატეგიულმა და საერთაშორისო პარტნიორებმა — აშშ-მა, ევროკავშირმა, გარდა იმისა, რომ სიტყვიერად გამოუცხადეს მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, ფინანსური მხარდაჭერის პაკეტები შესთავაზეს და დღეს საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც კრიზისის პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეათანხმა ახალი პროგრამის პარამეტრები.

დღეს ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა, რომელმაც კრიზისის პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეათანხმა ახალი პროგრამის პარამეტრები. ამან ჩვენ სრულად გაგვიხსნა საშუალება, დაგვეწყო უფრო ეფექტური მუშაობა საერთაშორისო დონორებთან. ამ მუშაობის შედეგად, საქართველოს მთავრობამ, უკვე მოიპოვა 1,5 მილიარდი აშშ დოლარის დახმარების გარანტიები ბიუჯეტის და მთავრობის მიმართულებით, ისევე, როგორც ჩვენ მივიღეთ მყარი გარანტიები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კერძო სექტორს დამატებით ექნება წვდომა 1,5 მილიარდ აშშ დოლარზე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობას, ეკონომიკას და კერძო სექტორს დასჭირდება დამატებითი ლიკვიდობა, ჩვენ გვაქვს სრულად გარანტირებული წვდომა 3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის რესურსზე, რაც სისწრაფის და ეფექტურობის თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია“, — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

მთავრობის მეთაურმა ისაუბრა თითოეული მოქალაქისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევაზე და აღნიშნა, რომ ეს არის ის ზრუნვის პაკეტი, რომელსაც ხელისუფლება დღეს მოქალაქეებს სთავაზობს.

„ეს არის ის მინიმუმი, რომელიც დღეს საქართველოს მთავრობას შეუძლია შესთავაზოს თითოეულ მოქალაქეს, იმ საკმაოდ შეზღუდული რესურსებიდან, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი ეკონომიკის სიმცირიდან, თუმცა ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ეს მეორე მხრივ, ჩვენ გვაკისრებს ვალდებულებას, ვიყოთ აბსოლუტურად სამართლიანები და მაქსიმალურად ეფექტურები და ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ კრიზისულ და ბრძოლის პირობებში, ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო, ყველაფერთან ერთად მოგვეცვა მაქსიმალური რაოდენობა ჩვენი ქვეყნის სოციალური ფენების, რათა თითოეულ მოქალაქემდე სხვადასხვა გზით სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა და სოციალური დახმარება მისულიყო“!, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

დღეის მდგომარეობით თითოეულ მოქალაქეზე ზრუნვის მიზნობრივი სოციალური დახმარების სქემა გამოიყურება შემდეგნაირად: **„ყველა ის დაქირავებით დასაქმებული პირი, რომელმაც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ დაკარგა სამსახური, შემოსავალი და ვეღარ იღებს ხელფასს, მიიღებს დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, 1200 ლარის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები ყოველთვიურად მიიღებენ 200 ლარს. აქ ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ამ დახმარების მდგრადობა. დახმარებით სარგებლობას დღეის მონაცემებით, იმ ფონდებით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, შეძლებს საქართველოს მინიმუმ 350 000 მოქალაქე, რაც ბიუჯეტისთვის ნიშნავს 460 000 000 ლარის ხარჯს. ამ ღონისძიების ძირითადი მიზანია, რომ ის ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, შეგვეძლოს 6 თვის განმავლობაში ფინანსურად დავეხმაროთ მათ იმ მინიმალური მხარდაჭერით და თანადგომით, რისი შესაძლებლობაც გვაქვს“.**

ამასთან, ყველა ის ადამიანი, რომელიც შეინარჩუნებს სამუშაო ადგილს, ყველა ის კომპანია, რომელიც შეინარჩუნებს თითოეულ სამუშაო ადგილს, 6 თვის განმავლობაში 750 ლარამდე ხელფასის თვალსაზრისით მიიღებს სრულ სუბსიდირებას საშემოსავლო გადასახადის გადახდის კუთხით. პრემიერის ინფორმაციით, აღნიშნული დახმარების ბიუჯეტი 250 მილიონი ლარია.

ასევე არის მოქალაქეების საკმაოდ სერიოზული სოციალური ჯგუფი და ფენა, რომლებიც არაფორმალურ სექტორში იყვნენ დასაქმებულები, ან თავს თვლიდნენ თვითდასაქმებულად, რომელთა იდენტიფიცირებაში სოციალური დახმარების სამსახურები ჩაერთვებიან.

„რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთვის უკიდურესად რთულია მათი იდენტიფიცირება, რამეთუ ისინი არ აღირიცხებიან არც ერთ ოფიციალურ ბაზაში, მაგრამ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ სოციალური დახმარების სამსახურების მეშვეობით და მათი იდენტიფიცირების მაქსიმალური გამარტივების გზით, მაშინ როდესაც მოხდება ასეთი ადამიანების იდენტიფიცირება, გაუწიოს მათ ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით. ამ ღონისძიების დაახლოებითი ბიუჯეტი იქნება 75 მილიონი ლარი“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ამასთანავე, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, სახელმწიფოს მხრიდან, 6 თვის განმავლობაში, დამატებით, 600 ლარის ოდენობით დახმარებას მიიღებენ.

„ჩვენ, სოციალურად, საკმაოდ რთულად სტრუქტურირებული საზოგადოება გვყავს. გვყავს საკმაოდ დიდი მოცულობა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების. ჩვენ არ შეგვეძლო დაგვეტოვებინა თითოეული ასეთი ჯგუფი ყურადღების და სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის გარეშე. ოჯახები, რომელთაც სოციალური სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 100 000-მდე, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ოფიციალურად უკვე ეხმარება ამ მოქალაქეების ჯგუფს 65 000 ქულამდე, მაგრამ ყურადღების გარეშე არის დატოვებული 65 000-დან 100 000-მდე ქულის მქონე ოჯახები, რომლებსაც ვეხმარებით, მრავალშვილიანების და არასრულწლოვნების ყოლის პირობებში. თუმცა, ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ასეთ ოჯახებს დავეხმაროთ 6 თვის განმავლობაში 600 ლარის ოდენობით და ასეთია საქართველოში 70 000 ოჯახი, დაახლოებით 190 000 მოქალაქე. ამასთან ერთად, ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არის 0-დან 100 000-მდე და ჰყავთ 3 და მეტი 16-წლამდე ასაკის შვილი, რაც ნიშნავს მრავალშვილიან ოჯახებს, ასევე სახელმწიფო დაეხმარება 6 თვის განმავლობაში 600 ლარის ოდენობით. ასეთი ოჯახების რაოდენობა დღეს საქართველოში არის 21 000 ოჯახი და ეს მოიცავს 130 000 მოქალაქეს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

„მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ასევე, ისარგებლებენ 6 თვის განმავლობაში 600 ლარის დახმარების ოდენობით სახელმწიფოს მხრიდან და დღეის მდგომარეობით, საქართველოში ჩვენ გვყავს ასეთი 40 000 მოქალაქე. ამ ღონისძიების მოცულობა გახლავთ 25 მილიონი ლარი“.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ასევე გადაწყდა, რომ ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლისა, რაც პენსიონერებს ფაქტობრივად უზღვევს ფასების ზრდას პენსიის სახით.

„70 წელს ზემოთ პენსიონერები, გარდა ინფლაციის პროცენტული ოდენობის ზრდისა, მიიღებენ პენსიის ზრდის შესაძლებლობას ეკონომიკის ზრდის 80%-ის ოდენობით. ეს ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ 2021 წლიდან გარანტირებულად, ყველა პენსიონერს პენსია გაეზრდება მინიმუმ 20 ლარით, ხოლო 70 წელს გადაცილებულებს — 25 ლარით. ეს არის ის მინიმუმი, რომელიც ჩვენს თითოეულ პენსიონერს ინფლაციის რისკებს უზღვევს. ამას კრიტიკულად დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ პენსიონერების საკმაოდ დიდი სოციალური ჯგუფი გვყავს და სოციალური მდგრადობის თვალსაზრისით ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ამ შეღავათებით ისარგებლებს საქართველოს 410 ათასი პენსიონერი“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი გახარიას თქმით, პოსტკრიზისული მართვის ეტაპზე სოციალური დახმარების და ქულების მინიჭების სისტემის გადახედვაც იგეგმება.

„მას შემდგომ, რაც პოსტკრიზისული მარ-

თვის ეტაპი დადგება და ეპიდემიოლოგიურ გამოწვევებს გადავლახავთ, აუცილებლად უნდა დავუბრუნდეთ სოციალური დახმარების სისტემას და გარკვეული ნაბიჯები გვექნება გადასადგმელი, რომ როგორც ქულების მინიჭების, ასევე ფინანსური დახმარების კრიტერიუმები იყოს უფრო მიზნობრივი, ობიექტური და ეფექტური. ეს არის ჩვენი ქვეყნის განვითარების და სოციალური მდგრადობის აუცილებელი ნაბიჯი".

გარდა ამისა, მეწარმეების, ეკონომიკის და ბიზნესის დახმარებისთვის – ამოქმედდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი - 600 მლნ ლარი; კომერციულ ბანკებს მიეწოდებათ 600 მლნ ლარის გრძელვადიანი რესურსი; ბიზნესის მხარდაჭერისთვის დამატებით გამოიყოფა 500 მლნ ლარი.

ამასთანავე, სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში იზრდება სესხის და ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდი, საქმიანობის სახეობები და საბრუნავი საშუალებების დაფინანსება; საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმი იცვლება, დაიწევს სესხის მინიმალური ზღვარი .

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ.

ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ, ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲐᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 30 000 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲢᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲝᲤᲡ.

მიკრო საგრანტო სისტემა სახელმწიფომ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა. გიორგი გახარიას განცხადებით, აღნიშნული პროგრამა დაიწყო 5000 ლარიდან, შემდგომ გახდა 15 000, 20 000 ლარი და დღეს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ეს ზღვარი 30 000 ლარამდე აწია.

გარდა ამისა, ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის სახელმწიფო 50 000 000 ლარს გამოყოფს.

მთავრობის მეთაურის თქმით, აგროკრედიტით სარგებლობას 5000 ფერმერი შეძლებს.

„დღეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება პირველადი სასურსათო პროდუქტების წარმოება, უბრალოდ, სასურსათო ბაზის შექმნა, ამიტომ, ეს გადაწყვეტილება იყო მიღებული და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ამისთვის სახელმწიფომ გამოყო 50 000 000 ლარი. ამ პროდუქტით სარგებლობას შეძლებს 5000 ფერმერი. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რამეთუ ერთწლოვანი კულტურები არის სწრაფი ეკონომიკური ეფექტის მქონე, მაგრამ ამავე დროს მაღალი ეკონომიკური რისკების შემცველი, ამიტომ, სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ფერმერებს მხარში დაუდგეს და დაეხმაროს", – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, სოფლის მეურნეობის განვითარება მიწის სისტემური რეგისტრაციის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია.

„იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, 3 წლის განმავლობაში, მოხდეს 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია. დღეის მდგომარეობით, ეს ის რესურსია, რომელიც დარჩენილია სისტემური რეგისტრაციის გარეშე და ამის შემდგომ, საქართველოში, მიწის სისტემური რეგისტრაციის პრობლემა საბოლოოდ იქნება გადაწყვეტილი და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს. ყველას კარგად გვესმის ამ ღონისძიების მნიშვნელობა, რათა გვქონდეს საშუალება, როგორც ფერმერს, ასევე, საფინანსო სტრუქტურებს, მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენოთ და ავამუშაოთ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი რესურსი, როგორიც გახლავთ მიწა".

ამასთან, ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს სარწყავი წყლის დავალიანება ჩამოეწერება. ჯამში, კრიზისული მენეჯმენტისთვის ქვეყანა 3 მილიარდ 500 მილიონ ლარს დახარჯავს.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა ყოველდღიურ ქცევაზე გლობალური პანდემიის გავლენაზე და აღნიშნა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პირბადე, ელემენტარული ჰიგიენის დაცვა და ხელთათმანები – ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდება.

„პანდემიამ ჩვენი ცხოვრება და ყოველდღიური ქცევა შეცვალა ისე, რომ გარკვეული შეზღუდვები და ღონისძიებები წლების განმავლობაში ჩვენთან ერთად დარჩება და ამ წესების დაცვის გარეშე შეუძლებელი იქნება ეკონომიკის გახსნაზე და ეკონომიკის აღდგენაზე საუბარი.

უკიდურესად მნიშვნელოვანია, იურიდიული პირების მხრიდან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების დაცვა.

„ყველა მეწარმემ, ყველა კომპანიამ უნდა გაითვალისწინონ, რომ შეუძლებელი იქნება საქმიანობის აღდგენა და გრძელვადიან პერიოდში გაგრძელება, იმ ღონისძიებების გატარების გარეშე და იმ მოთხოვნების დაცვის გარეშე, რომელსაც ჩვენი ეპიდემიოლოგები და ექიმები გვაძლევენ. იქ სადაც შესაძლებელია, როგორც კერძო და ასევე საჯარო სექტორში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დისტანციური მუშაობის ფორმები, იმისთვის, რომ ფიზიკური კონტაქტი მაქსიმალურად შევამციროთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ. ეს არის ის საბაზისო წესები, რომლის დაცვის გარეშე ჩვენ, ვერანაირ ეკონომიკის გახსნაზე ან შეზღუდვების შემცირებაზე ვერ ვისაუბრებთ. ამიტომ ეს არის ის ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა", – განაცხადა გიორგი გახარიამ.

რაც შეეხება შეზღუდვების შემსუბუქების მიმართულებას, მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ეს პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესრულების ხარისხთან.

ღონისძიებების შემსუბუქებისა და ეკონომიკის გახსნის პირველი ეტაპი ორშაბათიდან, 27 აპრილიდან დაიწყება.

ეს ნიშნავს იმას, რომ 27 აპრილიდან, სრულად იქნება დაშვებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, ასევე სრულად იქნება დაშვებული ტაქსების ოპერირება, ონლაინ ვაჭრობა (საბითუმო და საცალო), მიტანის მომსახურება ნებისმიერ პროდუქტზე და ღია ტიპის აგრარული ბაზრების საქმიანობა.

მეორე ეტაპი, ეპიდემიოლოგიური ვითარების შეფასების შესაბამისად, ორი კვირის შემდეგ დაიწყება და მეორე ეტაპზე შეზღუდვები მოეხსნება მშენებლობას.

მესამე ეტაპზე შეზღუდვები ვაჭრობას მოეხსნება. საუბარია საცალო და საბითუმო მაღაზიებზე, გარდა სავაჭრო ცენტრებისა, რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან, ასევე ყველა ტიპის ღია ბაზრობას, ყველა ტიპის წარმოებას და საგამომცემლო საქმიანობას.

მე-4 ეტაპზე შეზღუდვების მოხსნა სავაჭრო ცენტრებს, ღია ტიპის რესტორნებს და კვების ობიექტებს, ყველა ტიპის საფინანსო მომსახურებას, სილამაზის სალონებს და ესთეტიკური მედიცინის ცენტრებს შეეხება. თუმცა ადგილზე მომსახურების მიწოდება შეუძლიათ მხოლოდ ღია ტიპის რესტორნებს და კვების ობიექტებს.

მე-5 ეტაპზე შეზღუდვების მოხსნა დახურული ტიპის ბაზრების და ბაზრობებს, ასევე, ყველა ტიპის რესტორანს და კვების ობიექტს შეეხება, მათ შორის ადგილზე მომსახურებით.

შეზღუდვების მეექვსე ეტაპი გასართობ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს, შემოქმედებით საქმიანობას, აზარტულ და მომგებიან ბიზნესს, სასტუმროებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეეხება.

შეზღუდვები მოიხსნება ასევე ყველა სხვა საქმიანობაზე, არადისტანციურ რეჟიმში.

„აქ არ არის ისეთი მსხვილი ბლოკები, როგორიც არის მუნიციპალური ტრანსპორტი. აქ არ არის გეგმური სამედიცინო მომსახურება. ეს ისეთი საქმიანობებია, რომლის რომელიმე ეტაპთან გახსნის მიბმა იქნებოდა უკიდურესად სუბიექტური და ეს ის საქმიანობებია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ეპიდემიის გავრცელების გეოგრაფიასთან და სისწრაფესთან", – განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრეზენტაციის ბოლოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები შეაჯამა და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ჯანმრთელობა უსურვა.

„მინდა ყველა ადამიანს, რომელიც წინა ხაზზეა, გადავუხადო მადლობა და განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც დარჩა სახლში და ზედმიწევნით, რაც არ უნდა რთული ყოფილიყო ეს, ასრულებდა ყველა იმ შეზღუდვას, რომელიც აუცილებელი იყო თითოეული ჩვენი მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის, ჩვენი მოხუცების და მშობლების ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და იმისთვის, რომ ჩვენი ეკონომიკა სწრაფად აღვადგინოთ", – დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

<u>ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ:</u> ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲜᲢᲘᲙᲠᲘᲖᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲛᲐᲭᲐᲠᲘᲐ, ᲓᲐᲚᲕᲘᲜᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲢᲘᲙᲠᲘᲖᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ მიხედვით, რომელიც პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა, ირკვევა, რომ კრიზისული მენეჯმენტისთვის ქვეყანა 3 მილიარდ 500 მილიონ ლარს დახარჯავს, საიდანაც 1 მილიარდ 35 მილიონი ლარი იქნება მოქალაქის მიზნობრივი სოციალური მხარდაჭერა, ეკონომიკაზე და მეწარმეებზე ზრუნვა იქნება 2 მილიარდ 110 მილიონი ლარი. თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვის თვალსაზრისით, სახელმწიფო დახარჯავს 350 მილიონ ლარს.

მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმას მხარს უჭერს უმრავლესობა. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმით ხელისუფლება ზრუნავს თითოეულ ადამიანზე, ვისაც სჭირდება ჯანდაცვა, სოციალური დახმარება და ეკონომიკური აქტივობები განახლების გეგმის მოსამზადებლად. **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔᲛ** სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის არსებულ კარგ კოორდინაციაზე გაამახვილა ყურადღება და გეგმის შემუშავებაში ჩართულ ყველა მხარეს მადლობა გადაუხადა.

„ჩვენი თანამოქალაქეების მხარდაჭერით, ჩვენ მოვიგეთ დრო კოვიდ ინფექციის შეკავების პროცესში და ეს დრო გამოვიყენეთ იმისთვის, რომ მოგვემზადებინა სოციალური და ეკონომიკური დახმარების გეგმა და ეკონომიკური აქტივობების განახლების გეგმა. ამ გეგმით ჩვენ ვზრუნავთ თითოეულ ადამიანზე, ვისაც სჭირდება ჯანდაცვა, სოციალური დახმარება და ეკონომიკური მხარდაჭერა", – განაცხადა **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔᲛ**.

მთავრობის მიერ წარმოდგენილმა ანტიკრიზისულმა გეგმამ კრიტიკა უკვე დაიმსახურა ოპოზიციის მხრიდან. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ მთავრობის გეგმამ მეტი კითხვის ნიშანი გააჩინა. „ნაციონალური მოძრაობის" წევრის **ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲘᲡ** განცხადებით, ბიუჯეტიდან უსარგებლო ხარჯები უნდა გამოთავისუფლებულიყო და ის სოციალურ პროგრამებს უნდა მოხმარებოდა.

ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების" თავმჯდომარის მოადგილე **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ** აცხადებს, რომ მთავრობა დღეს არსებული ვითარებით შინაგანად კმაყოფილია, რადგან ეს მათთვის, როგორც ჩანს, პოლიტიკურად მომგებიანია.

„როგორც ჩანს, მთავრობა შინაგანად კმაყოფილია იმ სიტუაციით, რაც ქვეყანაში არსებობს. ამიტომ აქედან გამოსავალს კი არ ეძებენ, არამედ ცდილობენ იმას, რომ ამ სიტუაციაში, რომელსაც მე დავარქვი – დაზაფრე და იბატონე, მათ აწყობთ ხელისუფლება რაც შეიძლება დიდხანს იყოს სახლში. ეტყობა მათთვის ეს სიტუაცია პოლიტიკურად მომგებიანია", – აღნიშნა **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ**.

გეგმის ბუნდოვანებაზე საუბრობს „ევროპული საქართველოს" წევრი **ᲒᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ,** რომელიც იმ კრიტერიუმებს ასახელებს, რის გამოც მისი კრიტიკის ობიექტი გახდა ანტიკრიზისული გეგმა.

გახარიას ანტიკრიზისულ გეგმას უწუნებს პოლიტოლოგი **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ,** რომლის განცხადებით, აშკარად ნაჩქარევი გეგმაა, რადგან ანტიკრიზისული გეგმა ოპოზიციის პედალირებით წამოიწია, ოპოზიცია ახდენდა პედალირებას ეკონომიკის საკითხებზე. წარმოდგენილი გეგმა ნაჩქარევიც კი არის საიმისოდ, რომ რაც შეიძლება სწრაფად გასცემოდა პასუხი ოპოზიციის კრიტიკას.



„მე მაინც მგონია, რომ გახარიას ანტიკრიზისული გეგმა მაჭარია, დაღვინება სჭირდება. ბევრი პირობები ამოტივტივდება დროთა განმავლობაში, ბევრი პირობები დაზუსტდება, ბევრი აღრიცხვა მივა ბოლომდე, ვინაიდან აქამდე ყველაზე ჩქარა კეთდებოდა. უფრო დეტალური გეგმები სიტუაციის დეტალიზაციის შედეგად შეიძლება ვნახოთ. კორონასთან ბრძოლაში გამარჯვებამ რაღაცა უნდა გვასწავლოს. პრინციპში გამარჯვება უნდა გვასწავლოს", – აცხადებს **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ**.

მისი თქმით, „ქართული ოცნება" პოლიტიკურ სარბიელზე ისევ დაძაბული და შეშინებული დაბრუნდა, ისეთივე როგორიც იყო ადრე.

„იქნებ გასაზიარებელია კორონასთან ბრძოლა იმ მხრივ, რომ გახარიამ აშკარად მოიგო ეს ბრძოლა იმით, რომ დაეყრდნო პროფესიონალებს და მათგან მიღებული კონსულტაციების საფუძველზე გადადგა გაბედული ნაბიჯები. ანალოგიურად მუშაობდა მთელი ცხოვრება რონალდ რეიგანი.

პოლიტიკოსი აკეთებს თავის საქმეს, ის ვალდებულია, პროფესიონალურად განახორციელოს პროექტი, პროექტი კი უნდა შეირჩეს პროფესიონალებისგან. აი, ეს სინთეზი კორონასთან ბრძოლის დროს წარმოაჩინა გახარიამ. ანალოგიური ნაბიჯებია გადასადგამი ეკონომიკაში და ყველა იმ პრობლემურ სიტუაციაში, რომელიც აღმოცენდება. თავისივე გამარჯვებიდან უნდა ისწავლონ", – აღნიშნა **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔᲛ**.

პოლიტოლოგ **ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲘᲡ** შეფასებით, პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში ქვეყნის პირველი პირისგან გავიგონეთ სიტყვები, რომლებიც გულისხმობენ სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი მწარმოებლის დაცვა – წახალისებას და გონიერ პროტექციონიზმს. ეს კი მისი თქმით, იდეოლოგიურ ცვლილებებს ნიშნავს.

„შთამბეჭდავად გამოიყურება მეწარმეების მხარდაჭერის პროექტი. კერძოდ, დღგ-ს ავტომატური დაბრუნება, ბიზნესის მხარდაჭერისთვის გამოყოფილი 500 მილიონი ლარი და კომერციული ბანკებისთვის გამოყოფილი პირობიანი რესურსი 600 მილიონი ლარის ოდენობით. ასევე დიდი ეფექტი შეიძლება

მოგვცეს თანადაფინანსების პირობების გაუმჯობესებამ „აწარმოე საქართველოს" პროგრამებში.

სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი გრანტების მოცულობაც – 300 მილიონი ლარი – დიდი სტიმული იქნება, ისევე როგორც ერთწლიანი კულტურების დაფინანსება კრედიტით, რომლის პროცენტსაც ბიუჯეტი დაფარავს. ამან დიდწილად უნდა განაპირობას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება", – აცხადებს **ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ**.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ



შურიანი კაცი ბოროტმოქმედია!

მკვლელობის ძირიც შურია...

ძვეძნის პოლიტიკური ცხოვრება იმდენად გაჯერებულია სხვადასხვა მოვლენით, აღარ გვიკვირს, რომ ამ ფონზე ზოგიერთი პოლიტიკოსის გამონათქვამები და ესა თუ ის საქციელი ზოგჯერ იმდენად არაადეკვატურია, რომ რაციონალური ახსნა არა აქვს. თავის მხრივ, ეს ბადებს განცდას, რომ ამ პიროვნებების ირაციონალური ქმედებანი განპირობებულია არა რაიმე პოლიტიკური მოტივებით, არამედ რაღაც სხვა მიზეზით, რომელიც შეიძლება იყოს ამ ადამიანის ის სერიოზული ვნება, რომელსაც შური ჰქვია.

ამის ნათელი მაგალითია ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თითქმის ყოველდღიური სატელევიზიო რიტორიკა, რომელიც არავითარი საღი აზრის მატარებელი არ არის, გარდა ამ პიროვნების უსაზღვრო შურისა (რომლის საფუძველი, როგორც ამბობენ, ამპარტავნობაა) იმ ერთი კაცის მიმართ, რომელსაც ყოველ თავის გამოსვლაში უდიერად მოიხსენიებს.

როგორც ამბობენ, – „შური ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ დასაძლევი ვნებაა“, ხოლო ამ შემთხვევაში იგი იმდენად მანიფესტირებულია, რომ, არა მგონია, ვინმეს ოდნავ ეჭვი გაუჩნდეს, რომ ეს მისი უზნეო რიტორიკა სწორედ შურით და ამპარტავნობით არის გამოწვეული.

შური ერთ-ერთი უდიდესი ცოდვაა, რომელსაც მეათე მცნება კრძალავს. წმინდა გრიგოლის თქმით: „შური არის მწუხარება სხვისა სიხარულისა ზედა“, „შურიანი ადამიანი სხვისი ბედნიერებით არის უბედური“, ხოლო წმ. იაკობი, რომელმაც ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი დაწერა, შეგვახსენებს, რომ ყველა არასრულყოფილ ადამიანშია შური!..

შური განიმარტება, როგორც „სხვისი კეთილდღეობით გამოწვეული წყენა და გაღიზიანება, რომელსაც თან სდევს იმავე წარმატების მიღწევის დაუცხრომელი სურვილი“. „როგორც ჟანგი ჭამს რკინას, ასევე შური – სულს, რომელშიც ცხოვრობს“ (წმ. ბასილი დიდი).

„შურის ფესვი და საწყისი ამპარტავნებაა, რადგან ამპარტავანს სხვაზე მაღლა ყოფნა სურს, ვერ ითმენს, რომ ვინმე მისი ტოლი იყოს, მით უმეტეს, მასზე აღმატებული და კეთილდღეობაში მყოფი. ამიტომ წუხს მისი ამაღლების გამო. ეს ვნება (შური) მათშია, ვინც თვლის, რომ ისინი ქვეყანაზე განსაკუთრებულნი არიან და საკუთარ თავზე განდიდებით მეოცნებენი სხვებს არაფრად მიიჩნევენ. ამგვარად, ამპარტავნობისგან იწყება შური, შურისგან სიძულვილი, სიძულვილისგან სიბოროტე; სიბოროტეს მიჰყავს ადამიანი ყველაზე არასასურველ დასასრულამდე. ამიტომ ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი: „მკვლელობის ძირი შურია“ (წმ. ტიხონ ზადონელი).

შურის გამო მოკლა კაენმა აბელი, შურის გამო დევნიდა საული დავით მეფეს, შურის გამო გაყიდეს ძმებმა იოსები, შურის გამო ტანჯეს ყოველი წმინდანი, დაბოლოს, სწორედ შურის გამო აცვეს ჯვარს უფალი ჩვენი, იესო ქრისტე (დეკანოზი მიქაელ წულუკიძე).

როგორც წესი, შურთ წარმატებული, ლამაზი, მდიდარი და ღირსეული ადამიანისა. ერთი პოლიტიკური პარტიის ცნობილი თავქარიანი ლიდერი გამუდმებით მოთქვამს ფულზე, ყველა გამოსვლაში დღენიადაგ არკვევს, საიდან აქვს იმ კაცს ეს ფული, რამდენად კანონიერად აქვს და ოცნებობს, როდის ჩამოართმევენ ამ ფულს და ამ ყველაფერს ფუთავს გაჭირვებაში მყოფი ხალხის ინტერესზე ზრუნვით. სინამდვილეში მისი ეს „ზრუნვა“ მხოლოდ იმ ადამიანის მიმართ დიდი შურით არის განპირობებული. როგორც წმინდა მამები ამბობენ: „ხშირად ღარიბი უპირველესად იმაზე კი არ წუხს, რომ თვითონ არა აქვს, არამედ იმაზე, რომ სხვას მასზე მეტი აქვს. ხოლო ხშირად იმასაც ვერ ხვდება, რომ შურიანი საკუთარ თავს მეტად ვნებს, ვიდრე იმას, ვისაც შურს“.

„ყველა ცოდვა ჩადებულია ჩვენს არსებაში და ეს მანკიერება მეტ-ნაკლებად ყველას გვაქვს, განსხვავება იმაშია, ზოგი შურს საქმითაც გამოხატავს და აშკარად მტრობს ადამიანს, ზოგი ამ ვნებას ფარულად ატარებს“ (დეკანოზი მიქაელ წულუკიძე). ჩვენი ერთი პარლამენტის წევრი საკუთარ ქვეყანაზე პერმანენტულად სულ ნეგატიურ ინფორმაციას ავრცელებს ევროპარლამენტში და ერთხელაც კარგი არ უთქვამს, რასაც ოპოზიციონერობით ხსნის. სინამდვილეში ეს ის შემთხვევაა, რის შესახებაც მამები ამბობენ: „შური ამ მხრივ გამორჩეული ცოდვაა. შურიანი მტრის მიმართ კი არ არის ბოროტად განწყობილი, არამედ მოყვასის მიმართ. სწორედ მოყვასია მისი ბოროტი ზრახვების ობიექტი“.

როდესაც საქართველოს მთავრობამ და ექიმებმა კოვიდ-ინფექციასთან ბრძოლით კარგად გამოიჩინეს თავი და ქვეყანაში არსებული დეფიციტის პირობებში აწარმოეს დამცავი სამედიცინო ნიღბები (რაც მოკლე დროში ბევრმა ქვეყანამ ვერ შეძლო), ერთი ოპოზიციური ტელევიზიის მესვეურებმა ეს ნაწარმი რატომღაც დაიწუნეს და ამ მძიმე პერიოდში, ლამის იყო, მთელი მსოფლიოს გასაგონად თავიანთი ქვეყანა გალანძღეს, რისთვისაც უნიჭო პერფომანსებიც არ დაიშურეს, რაც, შემდგომ, ცინიკურად, კრიტიკის უფლებით ახსნეს. სინამდვილეში ეს მათი მავნე ქმედება იმ დიდი შურით იყო გამოწვეული, როცა ვერ აიტანეს ქვეყნის წარმატება და სხვა მხრიდან შემოუარეს: „ნახეთ, ქართველები დამცავ ნიღბებსაც ვერ კერავენ“...

ერთხელ ერთ ბრძენს ჰკითხეს: „რომელი თვალები ხედავენ უკეთესადო, შავი თუ ნაცრისფერი, კაცის თუ ქალის, ადამიანის თუ პირუტყვის?“ მან უპასუხა: „ყველაზე უკეთ შურიანი ადამიანის თვალები ხედავენ. ისინი ხედავენ ყველაფერს, ახლოს – ყველაზე უმცირესს, და იმასაც, რაც შორსაა; მხოლოდ ერთს ვერ ხედავენ – კარგს, და თუ დაინახავენ, ცრემლით აივსებიან და შეეცდებიან, ვერ იხილონ, თითქოს თავისით უნებურად იხუჭებიან“. „შურიანი ადამიანებში უმცირეს მანკიერებასაც ამჩნევს, ისეთსაც კი, რომლებიც მათში არასოდეს არ ყოფილა“ (ილია მინიატისი).

როცა ოჯახში, საზოგადოებაში, ქალაქში ან სახელმწიფოში დამკვიდრდება შური და ადამიანები იწყებენ ერთმანეთის სიბოროტით გამწარებას, მაშინ დასამარცხებლად არ არის საჭირო არანაირი უცხო მტერი. „როცა ჩვენ შურით ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებას ვიწყებთ, მაშინ, სამწუხაროდ, ადამიანების დასაღუპად ეშმაკიც არ არის საჭირო“, – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი.

„შურისგან არავინ არ არის დაზღვეული. სამწუხაროდ შურის განცდა შეიძლება კეთილ და წესიერ ადამიანსაც დაეუფლოს. შურთან ბრძოლა მეტად რთულია. ამიტომ, თუ ადამიანმა თავის თავში შური დაინახა, როგორც წმინდა მამები ამბობენ, ბრძოლის ნახევარი გარდავლილია. ამის შემდეგ ქრისტიანი უნდა მიხვდეს, რომ შური ამპარტავნობით არის გამოწვეული და ამ ვნებასაც ბრძოლა გამოუცხადოს. თუ თქვენ მოიშორებთ შურის განცდას, თქვენ იგრძნობთ, რა სიმძიმე ჩამოცილდება თქვენს სულს“.

მდიდარი უნდა ეცადოს შურის მიზეზად არ ექცეს ადამიანებს. უნდა ახსოვდეს, რომ ეს სიმდედრე იმისთვის მიეცა, რომ სხვებს დაეხმაროს და არა იმისთვის, რომ ფუფუნებაში ჩაფლულმა სული დაიწყოს. ასევე თვითონაც უნდა ეცადოს, თავისუფალი იყოს შურისგან...

„მძიმე ცოდვა, რომელიც ტვირთად გვაწევს ჩვენ, არის შური... შური სხვა ადამიანის კეთილდღეობით გამოწვეული წყენა და გაღიზიანებაა. შურმა შეიძლება კაცი ბოროტმოქმედად აქციოს. საოცარია, ეს ცოდვა მატერიალურ სამყაროში უფრო მეტად ვლინდება, იშვიათად თუ ვინმეს შეშურდება ადამიანის სულიერი მიღწევებისა. არ შურთ იმისი, ვისაც უფრო დიდი სარწმუნოება და სიყვარული აქვს, ვინც მეტი მომთმენია, ვინც კეთილთა ნიჭთა მოპოვებას ესწრაფვის“... **(საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II).**

დაბოლოს, ლევიანებში ნათქვამია: „არ იძიო შური და ბოლმა არ ჩაიდო შენი ხალხის ძეებისადმი; საკუთარი თავივით გიყვარდეს მოძმე“!..

ბონდო ქოგულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◎ „ექიმთა საქმე“ გრძელდება

ჭინთვები აწი ნახეთ!...

ნათქვამი კია, ვირისგან წიხლი საწყენი არაა, მაგრამ, მაინც...

იმ აღვირახსნილ კამპანიაზე მოგახსენებთ, კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეულად ჩაბმულ ქართველ მედიკოსთა წინააღმდეგ საკაშვილის კლასტერმა რომ გააჩაღა და როლში ისე შეიჭრა, შიზოიდურ-ისტერიკულ ვნებათა დასაოკებლად მალე, ალბათ, ფსიქიატრთა დახმარება დასჭირდება.





პოლემიკა საფუძვლიანი არგუმენტების მოშველიებით რომ მიმდინარეობდეს, ხმას როგორ ამოვიღებდი, მაგრამ, როცა ბუზისგან სპილოს წარმოსაჩენად უკადრებელს კადრულობენ და ბინძურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად უცხოეთში გადახვეწილ უავტორიტეტო თეთრხალათიანებს უნთებენ მწვანე შუქს, თანაც პირდაპირ ტელეეთერსა თუ საგაზეთო ფართს უთმობენ, სათქმელი დიახაც უნდა ითქვას! – ეს გახლავთ თანამემამულე პროფესიონალ კოლეგათა ნამოღვაწარისა და მათი პიროვნული დისკრედიტაციისკენ გადადგმული ბოღმიანი ნაბიჯი, რომელიც პოლიტიკურ მეძავობად იშიფრება.

გემახსოვრებათ, როგორი სკანდალი მოჰყვა ეგრეთ წოდებულ „ექიმთა საქმეს“, რომელსაც გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში მრავალი მამულიშვილის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ემსხვერპლა. აი, სწორედ მაშინდელ იდეურ წინამორბედთა გატარებული რეპრესიების კვალისკენ მივყავართ თანამედროვე ბოლშევიკთა (2012 წლიდან - უკვე მენშევიკთა) და მათ დამქაშთა ღვარძლიან წკმუტუნს, რომლებსაც გულზე ლახვრად ესობათ ქართველ ინფექციონისტთა თითოეული ლოკალური წარმატება. მათი ნება რომ იყოს, საინფორმაციო ჩირქგროვად ქცეულ საკუთარ იდეოლოგიურ რუპორ „მთავარში“ გაჟღერებულ სტატისტიკურ მონაცემებს დაუფიქრებლად მიუმატებდნენ ნულებს და ისედაც დაზაფრულ მოსახლეობას კიდევ უფრო მოუშხამავდნენ წუთისოფელს.

არადა, დაფიქრებულან ისინი, თითოეული სიცოცხლის გადასარჩენად 24 საათის განმავლობაში ფრონტის წინა ხაზზე გადასროლილ ჩვენი დროის გმირებს როგორ ენატრებათ ოჯახები, დასვენება ან, უბრალოდ, სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა?! ითვალისწინებს ვინმე, როგორი ტრაგიკული ფაქტებით აქვთ დამძიმებული გულები შვილმკვდარ მშობლებს – ამირან გამყრელიძესა და მარინა ენდელაძეს, ახალგაზრდა მეუღლის დაღუპვით მორალურად განადგურებულ პაატა იმნაძეს, ან, თუნდაც, მძიმე დაავადებასთან მებრძოლ თენგიზ ცერცვაძეს?

აღარაფერს ვამბობ ჯოჯოხეთის მოციქულმაშხალა ჩერგოლეიშვილზე, რომელმაც მარინა ეზუგბაიას წარბებზე ფანქრის(!) ნაკლებობა დაუწუნა. ის კი არა, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო და გუშინ „რკინის ვანომაც“ ამოილუღლუღა – მთავრობა ზუსტ ციფრებს მალავსო.

ჯერ სადა ხართ – ნაც-ვირეშმაკთა სამედიცინო-ფსიქიატრიული ჭინთვები აწი ნახეთ, გაზაფხულის სიცხე რომ დააჭერს.

გია პლატონიშვილი

საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იქნება, გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე მეგობრად მიჩნეულ ქვეყანასთან



ქართველი საზოგადოების მიმართვა უკრაინელ ხალხს, საქართველოს და უკრაინის ხელისუფლებებს

შეუძლებელია უკრაინაში სააკაშვილის ნებისმიერ პოლიტიკურ თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნა, კვლავაც მხოლოდ უკრაინის შიდა საქმედ მივიჩნიოთ — ეს ქართველი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის, მეტიც, ჩვენი სუვერენიტეტის ღია და დაუფარავი შეურაცხყოფაა, — ამის შესახებ უკრაინელი ხალხის, საქართველოს და უკრაინის ხელისუფლებებისადმი ქართველი საზოგადოების მიმართვაშია ნათქვამი, რომელიც რეჟისორ **ბუბა ხოტივარის**, პოეტ **კობა არაბულის**, მწერლისა და მთარგმნელის ლერი ალიმონაკისა და ფილოსოფოს **ზაზა შათირიშვილის** მიერ არის ინიცირებული.

imedinews-ი მიმართვის ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

„სულ ცოტა ხნის წინ, კიევსა და თბილისში მასშტაბურად აღინიშნა საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 100 წლისთავი. ცხადია, განვლილი ერთი საუკუნე მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ძალიან მჭიდრო და მოსიყვარულე ურთიერთობისა, რაც ქართველ და უკრაინელ ხალხს აკავშირებს ერთმანეთის მიმართ. ჩვენი ერების დაახლოება არაერთმა მსგავსმა განსაცდელმაც განაპირობა, რაც ქარტეხილიანი ისტორიის მანძილზე შეგვახვედრა განგებამ. ზედმეტია იმის აღნიშნვა, თუ რამხელა სიახლოვე აქვთ ერთმანეთთან დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას ქვეყნებს.

სახელოვანი წინაპრების გარდა ჩვენს ქვეყნებს, სამწუხაროდ, აკავშირებს ისეთი სამარცხვინო პერსონაჟი, როგორიც მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც ჯერ პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა ქართველმა ხალხმა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, შემდეგ კი ხანგრძლივმა სასამართლო პროცესებმა ორჯერ დაადასტურეს მისი ბრალეულობა უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულებში. ცრუ და მოძალადე პერსონა, რომელიც მთლიანად დისკრედიტირებულია არა მხოლოდ ქართველი ხალხის, არამედ უკრაინელთა დიდი ნაწილის თვალშიც, რომლებმაც მისი ნამდვილი წარსულიც გაარკვიეს და ადგილზეც იხილეს მისი ზღვარსგადასული პოპულიზმი, წარმოადგენს სირცხვილს ორივე ქვეყნისთვის.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ თავის დროზე, როდესაც სააკაშვილი ოდესის მხარის გუბერნატორად დაინიშნა, რაც, ბუნებრივია, ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარი და შეურაცხმყოფელი გადაწყვეტილება იყო, მისი დანიშვნა უკრაინის შიდა საქმედ მივიჩნიეთ, რადგან იმ პერიოდში სააკაშვილი მხოლოდ და მხოლოდ ბრალდებული იყო და არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მისი დამნაშავეობის შესახებ. მაგრამ ახლა, როდესაც მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული ორი განაჩენი, როდესაც იგი ოფიციალურად არის ცნობილი დამნაშავედ სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ, მათ შორის, მსჯავრდებულია ოპოზიციონერი პარლამენტარის ვალერი გელაშვილის მიმართ უშიშროების ძალების მონაწილეობით მოწყობილი ძალადობრივი თავდასხმის ორგანიზებისთვის, რომელიც 2005 წელს, პრეზიდენტობის რანგში ჩაიდინა სააკაშვილმა და რა დროსაც გელაშვილმა მიიღო უმძიმესი დაზიანებები, შემთხვევით გადაურჩა რა სიკვდილს.

ამავდროულად, მას კვლავაც აქვს წარდგენილი ბრალდებები სხვა, არანაკლებ მძიმე დანაშაულების ჩადენისთვის, მათ შორის, მის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო განხილვები უმძიმესი კორუფციული ბრალდებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 მლნ-ზე მეტი სახსრების მითვისების გამო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეუძლებელია, უკრაინაში სააკაშვილის ნებისმიერ პოლიტიკურ თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნა, კვლავაც მხოლოდ უკრაინის შიდა საქმედ მივიჩნიოთ — ეს ქართველი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის, მეტიც, ჩვენი სუვერენიტეტის ღია და დაუფარავი შეურაცხყოფაა.

გვსურს მივმართოთ პრეზიდენტ ზელენსკის, თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ელექტორალურმა ბანკროტმა და მარგინალმა სააკაშვილმა, გარდაუვალი კრახის შიშით, როგორც მხდალ ადამიანს სჩვევია, უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაც კი ვერ გაბედა, მაგრამ უკრაინელმა ხალხმა 0,4-პროცენტიანი განაჩენი მას მაინც გამოუტანა.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენს პარტიას „ხალხის მსახური“ ჰქვია და ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, ნუ ჰკადრებთ უკრაინელ და ქართველ ხალხს ვიცე-პრემიერად იმ ადამიანს, ვინც ამ ხალხმა არც იმსახურა და არც დაიმსახურა.

მოგმართავთ ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს და სრულად უკრაინის ხელისუფლებას, გაითვალისწინეთ ქართველი საზოგადოების აღშფოთება და არ დაუშვათ სახელმწიფოს მაღალ თანამდებობაზე კრიმინალი და მოძალადე პირის დანიშვნა, რომელიც გასამართლებულია და იძებნება ქართული სახელმწიფოს მიერ. ჩვენ ვიცით, რომ უამრავი ადამიანი ეწინააღმდეგება მის დანიშვნას და გამოვთქვამთ იმედს, რომ მათი ძალისხმევა შედეგს გამოიღებს.

ამასთანავე, მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი და დიპლომატიური არხი და დაიცვას ქართული სახელმწიფოს ღირსება. ვიმედოვნებთ, რომ უკრაინაში საღი აზრი გაიმარჯვებს და კრიმინალი სააკაშვილის მთავრობის წევრად დანიშვნის ყოვლად მიუღებელი ინიციატივა მკვდრადშობილი აღმოჩნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იქნება გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე მეგობრად მიჩნეულ ქვეყანასთან“, — ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ხელს ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები აწერენ.

ირაკლი კობახიძე:

რას მოიმოქმედებდნენ უკრაინელები, იანუკოვიჩი რომ დანიშნულიყო საქართველოს ვიცე-პრემიერად?

რას მოიმოქმედებდნენ უკრაინელები, იანუკოვიჩი რომ დანიშნულიყო საქართველოს ვიცე-პრემიერად, იანუკოვიჩმა ზუსტად ის უბედურება დააწია თავის ქვეყანას, რაც სააკაშვილმა საქართველოს, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, პარლამენტარმა ირაკლი კობახიძემ საქართველოს პირველი არხის ეთერში განაცხადა.

მან ისაუბრა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უკრაინის ვიცე-პრემიერად შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას ექნება რეაქცია.

„ჩვენი რეაქცია ბუნებრივია, აუცილებლად გვექნება, რადგან ასეთი რამ თუ მოხდა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ეს იქნება არამეგობრული ნაბიჯი. ჩვენ გვაქვს კონსულტაციები ჩვენს მეგობრებთან უკრაინის პარლამენტიდან, პირველ რიგში, მმართველი პარტიიდან, ამ პარტიის ფრაქციიდან. ჩვენ გვყავს არაერთი მეგობარი უკრაინის ვერხოვნა რადაში, უკრაინის პარლამენტში და ვფიქრობთ, რომ საბოლოო ჯამში, ჩვენი კონსულტაციების საფუძველზე, მათ შორის, უკრაინელი დეპუტატები მიიღებენ რაციონალურ გადაწყვეტილებას.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს მიხეილ სააკაშვილის ყოფნა სახელმწიფო სამსახურში და თუ რა საფრთხეებთან არის დაკავშირებული მისი ასეთი მდგომარეობა. ამას არ ვუსურვებთ უკრაინელ მეგობრებს და აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გვინდა, გამოვხატოთ ოპტიმიზმი, რომ ჩვენი მეგობრები, ჩვენი კოლეგები უკრაინის პარლამენტიდან მიიღებენ აბსოლუტურად რაციონალურ გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. კობახიძის თქმით, საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით პოზიტიური განწყობებია.

„სწორედ ეს გვიტოვებს ჩვენ ოპტიმიზმის საფუძველს. ის დეპუტატები, რომლებსაც ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ და რომლებთანაც ჩვენ გვაქვს ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა, მათ შორის სხვადასხვა საპარლამენტო ასამბლეაში, მაგალითად ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, ეუთო-ში და ა.შ., მათთან კონსულტაციების საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს ოპტიმიზმის საფუძველი. ისინი ძალიან სწორად აღიქვამენ ყველა იმ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია მიხეილ სააკაშვილთან, მის პიროვნებასთან და მის საქმიანობასთან საქართველოსა თუ უკრაინაში. ეს არის დღესავით ნათელი, შესაბამისად ეს გვაძლევს ჩვენ ოპტიმიზმის საფუძველს“.

ამასთან, კითხვაზე, თუკი მაინც დაინიშნება სააკაშვილი უკრაინის ვიცე-პრემიერად, გამოიწვევს თუ არა საქართველო უკრაინიდან ელჩს, კობახიძე აღნიშნავს, რომ ამას შეიძლება მოყვეს კონკრეტული დიპლომატიური რეაქციაც.

„მინდა აღვნიშნო, ჩვენ ხალხებს შორის მეგობრობას აქვს ისტორიული ფესვები და ხალხებს შორის მეგობრობას და ქვეყნებს შორის მეგობრობას ვერაფერი შეარყევს. თუმცა, ბუნებრივია, ასეთი დანიშვნა უარყოფითად აისახება პოლიტიკურ ურთიერთობებზე და ამას შეიძლება მოყვეს კონკრეტული დიპლომატიური რეაქციაც... და როგორი იქნება ეს რეაქცია, ამაზე საბოლოო ჯამში ბუნებრივია, ხელისფულება მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სააკაშვილის, როგორც გასამართლებული პირის მინისტრთა კაბინეტში დანიშვნა, უკანონოა

უკრაინული მედიის ცნობით, ქვეყნის მინისტრთა კაბინეტში მიხეილ სააკაშვილის დანიშვნა უკანონო იქნება, რადგან ის გასამართლებულია საქართველოში.

უკრაინული მედია შესაბამის დოკუმენტსაც აქვეყნებს — უკრაინის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის მეშვიდე მუხლის თანახმად, ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის წევრად არ შეიძლება, დაინიშნოს პირი, რომელსაც ნასამართლეობის ვადა არ აქვს მოხდილი ან გაუქმებული.

„ასევე, კანონი არ ითვალისწინებს ნორმას, რომ პირი აუცილებლად უკრაინაში უნდა იყოს გასამართლებული. შესაბამისად, სააკაშვილი ვერ გახდება უკრაინის მთავრობის წევრი, რადგან ის გასამართლებულია საქართველოში და ნასამართლეობის ვადა არც მოხდილია და არც გაუქმებული“, — აღნიშნავს უკრაინული მედია.

გოგა ხაინდრავა ვოლოდიმირ ზელენსკის:

არ გეკადრებათ, შეურაცხყოფა მიაყენოთ მეგობარ ქვეყანას და მის ხალხს

„ბატონო პრეზიდენტო, ნება მომეცით, ერთი შეკითხვით მოგმართოთ. გარწმუნებთ, რომ თქვენი პასუხი საინტერესო იქნება ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის. როგორ აგვიხსნით ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, ვისაც გულწრფელად უყვარს უკრაინელი ხალხი და პატივს სცემს უკრაინის სახელმწიფოს, რომ დამნაშავე, რომელსაც ქართულმა სასამართლომ მრავალი დანაშაულის გამო პატიმრობა მიუსაჯა, თქვენ, ქვეყნის მეთაურმა, უკრაინის მთავრობაში ვიცე-პრემიერად წარადგინეთ?!



რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საერთაშორისო სამართალი ჯერ არავის გაუუქმებია, არც სახელმწიფოებს შორის ურთიერთპატივისცემის საერთაშორისო წესები. არ გეკადრებათ, თქვენ, უკრაინის პრეზიდენტს, შეურაცხყოფა მიაყენოთ მეგობარ ქვეყანას და მის ხალხს! პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება...

საქართველოს მოქალაქე გიორგი ხაინდრავა“.

ამ შინაარსის წერილით რეჟისორმა გიორგი ხაინდრავამ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართა.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ!

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) კორონავირუსთან დაკავშირებით ინფორმაციის ძიების დროს, დასაწყისშივე, ჩემი ყურადღება ერთი ინტერვიუს სათაურმა მიიპყრო: **„ბოილი ბრალს დებს შეერთებულ შტატებს – მიკრობული ომის პროგრამა კრიმინალური საქმეა“. კითხვები და ფრენსის ბოილის პასუხები ბიოლოგიური ომის შესახებ.**

რესპონდენტი, ᲤᲠᲔᲜᲡᲘᲡ ᲑᲝᲘᲚᲘ – 1950 წელს დაბადებული, საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი ამერიკელი პროფესორი ილინოისის უნივერსიტეტში, სამართლის (**Law Magna Cum Laude – სწავლით დამსახურებული დიდი პატივი**) და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფილოსოფიის დოქტორი (ორივე ხარისხი – ჰარვარდის უნივერსიტეტისგან); **ბიოლოგიური იარაღის საერთაშორისო ექსპერტი,** ავტორი წიგნისა: „ბიოლოგიური ომი და ტერორიზმი“, 2005.

ინტერვიუერი, ᲨᲔᲠᲕᲣᲓ ᲠᲝᲡᲘ – „ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნის“, „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ და სხვა მთავარი ყოველდღიური გაზეთების ყოფილი რეპორტიორი, დიდი გამოცდილების და მაღალი კვალიფიკაციისთვის დაჯილდოვებული ჟურნალისტი, აგრეთვე WOL რადიოს (ვაშინგტონი) საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი. ამჟამად, **განაგებს ომის საწინააღმდეგო ახალი ამბების სამსახურს მაიამიში, ფლორიდა.**

ᲐᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲑᲝᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲠᲝᲡᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ 2020 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ:

„ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲝᲛᲘ – ეს არის ცოცხალი ორგანიზმების გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის. ასეთ იარაღად შეიძლება გამოყენებულ იქნას ვირუსები, ბაქტერიები, სოკოები და სხვა, რომელთა გავრცელებაც დიდ გეოგრაფიულ სივრცეზე არის შესაძლებელი ქარის და წყლის საშუალებით, მწერებისგან, ცხოველებისგან ან ადამიანისგან ადამიანზე გადაცემის გზით. დღეს შეერთებული შტატების ხელისუფლების რამდენიმე ლაბორატორია მუშაობს ციმბირის წყლულზე, ტულარემიაზე, ჭირზე, ებოლაზე, ბოტულიზმზე და გენოციდალურ „ისპანკის“ ვირუსზე. **გენური ინჟინერიის გამოყენებით ხდება ლეტალური მიკრობების ისეთი ახალი სახეობების გამოყვანა, რომლებიც არ იკურნება.** მაგალითად, შეიძლება ისეთი ბაქტერიების შექმნა, რომლებიც უფრო ვირულენტული (**ᲨᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ),** გასავრცელებლად იოლი, ვაქცინის მიმართ რეზისტენტული (**ᲒᲐᲛᲫᲚᲔᲜᲘ**) და ძნელად აღმოსაფხვრელნი იქნებიან“.

„2001 წლის 11 სექტემბრის (ტერორისტული აქტების) შემდეგ ბიოლოგიური ომისთვის მზადებას ჩვენ დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი დავახარჯეთ; **13 000 „სიკვდილის მეცნიერი“,** შეერთებულ შტატებში და საზღვარგარეთ არსებულ **400 (!) ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲫᲚᲔ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ.** მაგალითად, **დოქტორ იოშიხირო კავაოკას** ჯგუფმა ვისკონსინის (აშშ) უნივერსიტეტში მიაგნო მეთოდს, რომლითაც **გრიპის ვირუსის ტოქსიკურობა 200-ჯერ გაზარდა!** ეს ის დოქტორი კავაოკაა, რომელმაც მომაკვდინებელი, გენოციდალური **„ისპანკის“ ვირუსი გააცოცხლა** პენტაგონის დაკვეთით, შეტევითი ბიოლოგიური ომის მიზნებისთვის“!

„ᲓᲠᲘᲠᲗᲐᲜ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 36000* ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲘᲚᲣᲠᲘᲡᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲛᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 120 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ 2006 ᲬᲚᲘᲡ. ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ 2001 ᲬᲚᲘᲡ, – 1. 76 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ, 15-ᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘ! ᲐᲜᲣ **ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, – ᲑᲘᲝᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ“.**

„ფაქტობრივად, **ამჟამად გვაქვს შეტევითი ბიოომის ინდუსტრია,** რაც 1972 წლის ბიოლოგიური იარაღის კონვენციის და 1989 წლის ბიოლოგიური იარაღის ანტიტერორისტული აქტის დარღვევაა. ბიოლოგიური იარაღის კონვენცია „ქაღალდის ნაგლეჯად“ იქცა, მაგრამ **ჩემი BWATA – „ბიოლოგიური იარაღის ანტიტერორისტული აქტი“** დღესაც კანონიერ ძალაშია შეერთებული შტატების მიწაზე და **მისი დარღვევა სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს“** (საქმე იმაშია, რომ სწორედ ფრენსის ბოილი იყო BWATA-ს პროექტის ავტორი, რომელიც, კანონის სახით, ერთხმად მიიღო კონგრესის ორივე პალატამ 1989 წელს).

„ᲢᲔᲮᲐᲡᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ **ᲒᲐᲚᲕᲔᲡᲢᲝᲜᲘᲡ** ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ **ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ** ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲓᲐᲔᲫᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲑᲠᲝᲕᲔᲑᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲨᲘᲨ ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝ ᲑᲘᲝᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲝᲡ! ᲐᲨᲨ-ᲘᲡ **ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲝᲡ ᲔᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ** – ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ **ᲠᲐᲡᲐᲪ ᲘᲫ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ, ᲘᲡ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ SS-ᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲔᲡᲢᲐ�პᲝᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ“!**

„ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ დიდი ხანია, პენტაგონისთვის და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის სხვადასხვა სახის კვლევებს ასრულებენ, **ადამიანებზე ცდების ჩატარების ჩათვლით. 13 000 სიკვდილის მეცნიერი,** რომლებიც თავიანთ თავს, ცინიკურად **„სიცოცხლის მეცნიერს“ უწოდებენ,** ბიოომის ბინძურ სამუშაოს ასრულებენ. დოქტორი მენგელე ნამდვილად იამაყებდა ყოველი მათგანით“! **(ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ – ᲛᲔᲜᲒᲔᲚᲔ ᲘᲧᲝ „ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲐᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲓᲔᲑᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲝᲡᲕᲔᲜᲪᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲢᲧᲕᲔᲑᲖᲔ).**

„შეტევითი **ბიოლოგიური ომის ინდუსტრიამ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს და საშინელი უკუდარტყმა მიაყენოს ამერიკელ ხალხს კატასტროფული პანდემიის სახით“!**

ზემოთქმულის ავტორი, მხოლოდ მეცნიერ-მიკრობიოლოგი რომ ყოფილიყო რომელიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან, შედარებით ნაკლებ ყურადღებას მივაქცევდი, მაგრამ **ამას ამბობს ბიოლოგიური იარაღის საერთაშორისო ექსპერტი,** რომელიც ღრმად არის ჩახედული საგნის არსში და ისეთ ინფორმაციასაც ფლობს, რაზედაც რიგით მეცნიერს, უბრალოდ, ხელი არ მიუწვდება.

* * *

ᲛᲘᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲗ უჰანის კორონავირუსს, რომელზედაც, ეპიდემიის დასაწყისში, გადაჭრით, ექსპერტებიც ვერ ამბობდნენ – ბუნებრივი იყო იგი, თუ – ხელოვნურად გამოყვანილი. არც მისი გავრცელების პირველადი წყარო იყო დაზუსტებული, ისე კი ყველანი – ამერიკა და მისი სატელიტები ანუ, თითქმის, მთელი მსოფლიო თითს ჩინეთისკენ და უჰანში მდებარე ვირუსოლოგიური ლაბორატორიისკენ იშვერდა. ამერიკელმა რესპუბლიკელმა სენატორმა **ტომ კოტონმა** კი პირდაპირ დაადანაშაულა პენტაგონი კორონავირუსის სასიკვდილო შტამის (სახეობის) გამოყვანაში.

არადა, ადამიანისთვის მეტად საშიში, ახალი ტიპის პნევმონიის (**COVID-19**) გამომწვევი ეს ვირუსი, თურმე, 5 წელია, რაც არსებობს და, ამის შესახებ ჟურნალ **„Nature“**-შიც გამოქვეყნებულა შესაბამისი სტატია 2015 წლის 9 ნოემბერს. იგი, **ფორტ დეტრიკის** (მერილენდი) სამხედრო ბაზაზე განლაგებულ საიდუმლო ლაბორატორიაში მომუშავე ამერიკელ ბიოლოგებს შეუქმნიათ ჩინეთში გავრცელებული ღამურას ფილტვებიდან აღებული ვირუსის – SARS-ის „შეჯვარებით“ ე.წ. ზედაპირულ ცილასთან (SHC 014) და გერმანიის ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილის **ვილი ვიმერის** განცხადებით, დაუპატენტებიათ კიდეც! დაუდგენიათ ისიც, რომ ამ **ახალ კორონავირუსს,** SARS-ისგან განსხვავებით, განვითარებისთვის არ ესაჭიროება შუალედური ცხოველი და **შეუძლია პირდაპირ დასნებოვნოს ადამიანი,** რომ იგი **ძალზე სწრაფად მრავლდება** ადამიანის უჯრედებში და, ამიტომ, ძალიან **ადვილად გადადის ადამიანიდან ადამიანზე.**

სტატიის ერთ-ერთი ავტორის **ბარიკის** მიხედვით: „ბოლო შრომა აჩვენებს, რომ ვირუსმა უკვე გადალახა კრიტიკული ბარიერები, ისეთები, როგორიცაა ადამიანის რეცეპტორების დაპატრონების უნარი და **სასუნთქი გზების უჯრედების ეფექტურად დაინფიცირება“. რიჩარდ ებრაიტი,** რუტგერსის უნივერსიტეტის (ნიუ ჯერსის შტატი, აშშ) მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოდაცვის სპეციალისტი, ასე აფასებს ფორტ დეტრიკში ჩატარებულ ექსპერიმენტს: „ამ შრომის ერთადერთი შედეგი არის ახალი, **არაბუნებრივი(!) რისკის შექმნა** ლაბორატორიაში“, ხოლო **პიტერ დაშაკი,** EcoHealth Alliance-ს პრეზიდენტი (მეცნიერთა საერთაშორისო ქსელი, შტაბ-ბინით ნიუიორკში, დაკავებულია ცხოველების და ადამიანების ვირუსების შეგროვებით მთელ მსოფლიოში) აცხადებს: „კვლევების შედეგად, **ეს ვირუსი** პოტენციური შესაძლებლობის მქონე გამომწვევიდან **აშკარა, რეალურ საფრთხედ იქცა“!**

მოკლედ, ამ „ახალი“ კორონავირუსის წარმომავლობის და დიდი საფრთხის შემცველი თვისებების შესახებ ხუთი წელია, ცნობილია ყველაფერი და, მაინც, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და აშშ-ის ოფიციოზი დღეს მთელი სერიოზულობით გვიცხადებენ, რომ იგი ბუნებრივი მუტაციის შედეგად იშვა! უკვე ახლა, 2020 წლის აპრილის პირველ რიცხვებში, ვირუსის შესწავლის შემდეგ, ვირუსის ხელოვნურობაზე მიუთითებს ჩეხი მოლეკულური გენეტიკოსი და ვირუსოლოგი სონია პეკოვაც: „მე მრავალი წელი მივუძღვენი მოლეკულურ ბიოლოგიას და გენეტიკას, ვმუშაობდი კლონირებაზე და გენური ინჟინერიისთვის ვირუსის სხვადასხვა ნაწილს ვიყენებდი. როცა მე გენების თანამიმდევრობა დავინახე ვირუსის მარეგულირებელ(!) ნაწილში, მაშინვე მივხვდი, რომ ის არ ჰგავს ბუნებრივს“.

* * *

ᲐᲮᲚᲐ, რაც შეეხება ახალი კორონავირუსის გავრცელების საწყის წყაროს, **ჩინეთის** სამედიცინო ორგანიზაციებმა და „სადაზვერვო სააგენტოებმა“ მსოფლიოს ოთხი კონტინენტის 12 სახელმწიფოდან ვირუსის 93 გენომის (ორგანიზმის უჯრედში თავმოყრილი მემკვიდრული მასალა) ნიმუში შეაგროვეს, გამოავლინეს მისი ყველა ნაირსახეობა და მუტაცია, და შეისწავლეს ინფექციის წყაროები და გავრცელების გზები. მათ დაადგინეს, რომ ვირუსის აფეთქება დაიწყო არა დეკემბერში, არამედ უფრო ადრე – ნოემბერში, მას შემდეგ, რაც ოქტომბრის ბოლოს ე.წ. „მსოფლიო სამხედრო თამაშები“ ჩატარდა უჰანში და, რომ **ვირუსი გაჩნდა არა ჩინეთში, არამედ ის შემოტანილ იქნა გარედან!** იგივე დასკვნამდე მივიდნენ **იაპონელი** მკვლევარებიც, ხოლო **ტაივანის** წამყვანმა ვირუსოლოგმა, ხანგრძლივი ძიების შემდეგ, დააკონკრეტა: **ეს ვირუსი ამერიკაში გაჩნდა!** ამის შესახებ მან, გენეტიკური დიაგრამების და ბლოკ-სქემების დემონსტრირებით, 2020 წლის 27 თებერვალს ტაივანის ტელევიზიით, ახალი ამბების პროგრამაში ამცნო საზოგადოებას.

ვირუსოლოგის ლოგიკა მარტივი იყო: ტაივანზე გავრცელებული ვირუსის ტიპი არსებობს მხოლოდ ავსტრალიასა და აშშ-ში, და, ვინაიდან ტაივანის დაინფიცირება ავსტრალიელებისგან არ მომხდარა, ამიტომ რჩება მხოლოდ შეერთებული შტატები. მეცნიერის ძირითადი ლოგიკა კი მდგომარეობდა შემდეგში: ვირუსის გავრცელების საწყისი წყარო უნდა იყოს ის გეოგრაფიული ადგილი, სადაც ვირუსის შტამების ყველაზე მეტი მრავალფეროვნებაა, ვინაიდან, არ შეიძლება ერთი შტამის არაფრისგან აღმოცენება. **ვირუსის დღემდე ცნობილი**

** ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ (CDC) ᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 12-ᲓᲐᲜ 56 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ ᲒᲠᲘᲠᲘᲗᲘᲗ.*

ხუთივე შტამი კი, მხოლოდ ამერიკაშია(!), მაშინ, როცა ჩინეთში, ტაივანზე და სამხრეთ კორეაში, ტაილანდსა და ვიეტნამში, სინგაპურსა და ინგლისში, ბელგიასა და გერმანიაში მხოლოდ თითო შტამია!

„ირანმა და **იტალიამ,** – განაცხადა ტაივანელმა ვირუსოლოგმა, – დამოუკიდებლად გაშიფრეს ადგილობრივი ვირუსის გენომი და ჩინურ ნაირსახეობასთან შედარების შემდეგ დაასკვნეს: **არცერთი მათგანი არ არის ჩინური წარმომავლობის** და, რომ მათ ქვეყნებში ისინი შეტანილია სხვა წყაროდან.

მრავლისმეტყველია კიდევ ერთი ფაქტი: 2019 წლის ოქტომბერში უჰანში ჰოსპიტალიზებულ იყო **მსოფლიო სამხედრო თამაშებში მონაწილე ხუთი ამერიკელი სამხედრო,** რამაც ეჭვი დაბადა – სწორედ მათ შეეძლოთ ამ უცნობი დაავადების ჩინეთში ჩატანა. ჩინელებმა ყურადღება მიაქციეს ორ გარემოებასაც – ამერიკელი სამხედროების 200-კაციანი დელეგაცია უჰანში, „ცოცხალი ბაზრის“ სიახლოვეს ცხოვრობდა და, ყველას გასაკვირად, მათ ძალიან ცუდი შედეგები აჩვენეს თამაშებში.

უფრო ადრე, 1 თებერვალს, უჰანში მდებარე, უკვე ევაკუირებული **ამერიკის საკონსულოს ტერიტორიაზე, ჩინელებმა აღმოაჩინეს 1.5 მეტრის სიღრმეზე მიწაში დამარხული კონტეინერები წარწერით – BIOHAZARD** (სახიფათო ნივთიერება).

* * *

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ კორონავირუსის ეპიდემიის დასაწყისში, ერთმა ფაქტმა მიიქცია ჩემი ყურადღება. პირველი 10 დღე, ავადმყოფებიდან აღებულ მასალას საანალიზოდ აქვე, აეროპორტთან მდებარე **სენატორ ლუგარის** სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით **ცენტრში** ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, **ლაბორატორიული ქსელის უმაღლესი დონის დაწესებულებაში** კი არ ვაგზავნიდით, არამედ, შორეულ ნიდერლანდებში(!), სადაც, იმ დროს, კორონავირუსით დაავადების ერთი(!) შემთხვევაც კი არ იყო დაფიქსირებული და, რამდენიმე დღე ველოდებოდით ანალიზის პასუხს! ეჭვი არ მეპარება, იოტისოდენადაც, რომ ამ პარადოქსის მიზეზი ქართული მხარე არ იყო!

ორი თვეც არ იყო გასული აშშ-ს ტერიტორიაზე კორონავირუსით პირველი ინფიცირებული პირის დადგენიდან, რომ 17 მარტს, აშშ-ში ბაზირებულმა **Associated Press**-ის საინფორმაციო სააგენტომ მთელ მსოფლიოს სასიხარულო ამბავი ამცნო: ქალაქ **სიეტლში** (ვაშინგტონის შტატი) **კორონავირუსის ექსპერიმენტული ვაქცინის კლინიკური გამოცდა დაიწყოო!**

ანალოგიური ინფორმაცია, სხვათა შორის, გავრცელდა **ისრაელიდანაც** – თითქმის, მზად გვაქვს საკუთარი წარმოების ვაქცინაო. როდესაც ეპიდემიამ იფეთქა, ზოგიერთი ჩინელი მეცნიერი ფიქრობდა, რომ ახალი ტექნოლოგიების წყალობით 2-3 თვეში ვაქცინა მზად ექნებოდათ, მაგრამ მალევე უკან დაიხიეს და, დღეს მსოფლიოს ყველა ექსპერტი ერთი აზრისაა – მის შექმნას ცულ ცოტა (!) ერთი წელი დასჭირდება, საკმაოდ დიდი ნაწილი კი 1.5-2 წელსაც ასახელებს. ჰოდა, ისმის სავსებით ბუნებრივი კითხვა: **როგორ მოახერხეს ამერიკელებმა და ებრაელებმა ასეთ მოკლე დროში ვაქცინის დამზადება?!** ვაქცინის შექმნა ეპიდემიის დაწყებამდე ხომ ტექნიკურად შეუძლებელია! დასმულ კითხვას ექსპერტები ასე პასუხობენ: **ეს შეიძლება მოახერხონ მხოლოდ იმათ, ვინც ხელოვნურად ქმნის ვირუსს,** რადგანაც ხელოვნური ვირუსების გამოყვანისთანავე იწყება შესატყვისი ვაქცინის შემუშავებაც!

საინტერესო ფაქტები მოჰყავს გაეროს ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის კომისიის ყოფილ წევრს, ექსპერტ **იგორ ნიკულინს:** „2019 წლის 5 აგვისტოს **„The New York Times“**-მა გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ უსაფრთხოების მიზეზების გამო **ფორტ დეტრიკში დაიხურა ლაბორატორია.** 31 აგვისტოს კი იმავე NYT იტყობინება, რომ ამერიკაში რაღაც **უცნაური ეპიდემია გაჩნდა** – იმ მომენტისთვის უკვე 215 ავადმყოფი იყო. ორი კვირაც არ იყო გასული და ასეთი ავადმყოფების რაოდენობამ 500-ს გადააჭარბა, რამდენიმე ადამიანი, მათ შორის აშშ-ის არმიის სამხედროები გარდაიცვალა, რის გამოც **დონალდ ტრამპმა** თათბირი მოიწვია“.

ყველაფერს საბოლოო წერტილი დაუსვა აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის (**CDC**) დირექტორის, **რობერტ რედფილდის** გამოსვლამ კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში 11 მარტს. მან აღიარა, რომ **პანდემიამდე (!) გრიპის დიაგნოზით გარდაცვლილ ამერიკელთა ნაწილი, სინამდვილეში, კორონავირუსით იყო დაღუპული!**

რედფილდის გამოსვლას, მეორე დღესვე, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი **ჩჟაო ლიცზიანი** გამოეხმაურა Twitter-ზე, და აშშ-ის ხელისუფლებას სავსებით ლოგიკური კითხვები დაუსვა: „როდის გაჩნდა აშშ-ში „ნულოვანი“ პაციენტი (ანუ, პირველი პაციენტი, ვისგანაც დაიწყო დაავადების გავრცელება)? რამდენი ადამიანია ინფიცირებული? რომელ საავადმყოფოებში იყვნენ ისინი ჰოსპიტალიზებულნი? **ალბათ, სწორედ ამერიკელმა სამხედროებმა ჩამოიტანეს ეპიდემია უჰანში. იყავით გულახდილი! გაასაჯაროეთ მონაცემები! აშშ-მა ყველაფერი უნდა აგვიხსნას“!**

ფაქტობრივად, ეს იყო აშშ-ის ოფიციალური, რასაც მძაფრი რეაქცია მოჰყვა ამერიკის მხრიდან – ჩინეთის ელჩის გამოძახება და, დიდი ალბათობით, დიდი მუქარაც! იმათ, ვინც ამერიკის გლობალისტურ პოლიტიკას წარმართავს, კარგად მოეხსენებათ **„გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებას“** პრინციპი და, მართალია, თითს ადრეც ჩინეთისკენ იშვერდნენ, მაგრამ მარტის მეორე ნახევრიდან მთელი დატვირთვით აამუშავეს მათ ხელთ არსებული უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა. რაც დღეს მსოფლიოში ხდება, ყველაფრის მიზეზად ჩინეთს ასახელებენ, თითქოს, მან შეუქმნა საფრთხე დანარჩენ მსოფლიოს იმით, რომ კორონავირუსით დაავადების შესახებ რამდენიმე კვირის დაგვიანებით აცნობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. მართალია, ამის დასაბუთებას აშშ ვერ ახერხებს, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის მთელი მსოფლიო ჩინეთის წინააღმდეგ აამხედროს. თავად ვირუსს მხოლოდ **„ჩინური ვირუსის“** სახელით მოიხსენიებს თვით პრეზიდენტი ტრამპი. **29 მარტს კი ამერიკის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო ჩინეთს მოსთხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რაც აშშ-ს მიადგა კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის შედეგად – ხუთი ტრილიონი დოლარი!** მისმა მოკავშირე **ისრაელმა, „მორიდებულად“ სულ რაღაც 100 მილიარდი მოითხოვა მხოლოდ.**

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲩᲐᲕᲐ

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 200 ᲐᲗᲐᲡᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲡ

ᲯᲝᲜ ᲰᲝᲞᲙᲘᲜᲡᲘᲡ უნივერსიტეტის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ვირუსით 200 689 ადამიანია დაღუპული. ლეტალური შემთხვევების ყველაზე დიდი რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფიქსირდება, სადაც ვირუსით 50 000-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა.

მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში: აშშ-ში, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში ვირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 20 000-ს აჭარბებს. მსოფლიოში ინფიცირებულთა რაოდენობა კი, უკვე სამ მილიონს უახლოვდება.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ – ᲣᲙᲕᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲐᲜ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ წარმოების პრეპარატის ტესტირება უკვე აშშ-შიც დაიწყეს და მან 100%-იანი ეფექტი მისცა კორონავირუსით დაავადებული თვით ყველაზე მძიმე ავადმყოფების მკურნალობისასაც კი. თავად ისრაელში ამ პრეპარატით მკურნალობამ მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი 7 პაციენტი გადაარჩინა. მათ სუნთქვის უკმარისობასთან ერთად გულისა და თირკმლის უკმარისობაც აწუხებდათ.

მედიკამენტის შემმუშავებელი კომპანია Pluristem Therapeutics-ის განცხადების თანახმად, პრეპარატის აქტიურ ნივთიერებას სწორედ იმ პროცესის დათრგუნვა და განეიტრალება შეუძლია, რითაც კორონავირუსით დაავადებულთა უმრავლესობა იღუპება.

კომპანია ჭკვიანი უჯრედების გამოსაყვანად პლაცენტას იყენებს და სეკრეციის მიზნით მათ პროგრამირებას ავადმყოფთა ორგანიზმის ცილოვან უჯრედებში ახდენს.

იუწყებიან, რომ უახლოეს მომავალში გაიმართება სასამართლო, რომელმაც, შესაძლოა დაუშვას კიდეც ამ პრეპარატის აქტიური გამოყენება. შესაბამისად, რეგულატორების მხრიდან ნებართვის კვალდაკვალ, შესაძლებელი გახდება სამკურნალო პრეპარატის დიდი ოდენობით დამზადება.

კომპანიის გენერალური დირექტორის იაკი იანაის თქმით, მკურნალობა ხდება 15 მილილიტრიანი დოზებით, რომლებიც ცნობილია, როგორც პლაცენტის უჯრედი. ის შეჰყავთ უბრალო ინექციის სახით და ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ უჯრედები ერთგვარ ფაბრიკად იქცევა, რომელიც თერაპიულ ცილას წარმოქმნის.

დღემდე, Pluristem-ის ტექნოლოგია კიდურებში სისხლის ცუდი მიმოქცევის სამკურნალოდ გამოიყენებოდა, მაგრამ კომპანიის მეცნიერებმა სწრაფად შეძლეს უჯრედის პერეპროფილირება და ამ პრეპარატის კორონოვირუსის საწინააღმდეგოდ მიმართვა. ამ ტექნოლოგიის მიხედვით, ერთი პაციენტის პლაცენტას 20 ათასზე მეტი დაავადებულის განკურნება შეუძლია.

ინფორმაციას ამის შესახებ **Obozrevatel.com**-ი ავრცელებს.

„ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ“

ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐ

ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ კარანტინში მყოფ ადამიანებს D ვიტამინის მიღებისკენ მოუწოდებენ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რადგანაც ადამიანები დახურულ შენობაში დიდხანს ატარებენ დროს და მზეზე არ გადიან, ისინი ამ ნივთიერებას საკმარისი რაოდენობით ვერ იღებენ. ამიტომაც მათი რჩევაა მოსახლეობამ დღეში 10 მიკროგრამი D ვიტამინი მიიღოს, რათა ჯანმრთელობა გაიძლიეროს.

D ვიტამინი სტეროიდია, რომელიც სხეულში ჰორმონის მსგავსად მოქმედებს. ის 200-ზე მეტი გენის ფუნქციებს არეგულირებს და ორგანიზმში როგორც ზრდის და განვითარების პერიოდში, ასევე ზრდასრულ ასაკშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

ეს ვიტამინი აუცილებლად სჭირდება ძვლებს სიძლიერისთვის, კუნთებს – მოძრაობისთვის, ნერვებს – ინფორმაციის გადასაცემად ტვინს და სხეულის სხვადასხვა ნაწილს შორის. ის ასევე ესაჭიროება ორგანიზმის იმუნიტეტს იმისთვის, რომ ეფექტურად ებრძოლოს ბაქტერიებს და ვირუსებს. D ვიტამინის მთავარი ბუნებრივი წყაროა მზის სხივები. როგორც ნუტრიენტი, ის ცხიმის მაღალი შემცველობის თევზეულში, კვერცხში, რძის პროდუქტებში და ზოგ სოკოშიც გვხვდება.

ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲗᲕᲘᲗᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲘᲖᲔᲘᲛᲔᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ნაცისტური გერმანიის ოკუპაციისგან გათავისუფლების 75 წლისთავი თვითიზოლაციაში იზეიმეს. დღესასწაული, რომელსაც ტრადიციულად მასობრივი შეკრებებითა და სახალხო ზეიმით აღინიშნება, ამჯერად საცხოვრებელი სახლების ფანჯრებიდან და აივნებიდან ეროვნული დროშების ფრიალითა და წინააღმდეგობის ჰიმნის, „ბელა ჩაოს“ შესრულებით აღნიშნეს.

დღესასწაულის აღნიშვნა, იტალიის დროით 15 საათზე ჩატარდა. ქვეყნის საჰაერო ძალებმა ცაზე იტალიის ეროვნული დროშა გამოსახეს. იტალიის თავდაცვის მინისტრმა ლორენცო გუარინმა მოუწოდა მოსახლეობას, კრიზისის გადალახვა მეორე მსოფლიო ომის დროს წინააღმდეგობის გაწევაში გამოვლენილი ერთიანობისა და სოლიდარობის ფასეულობებზე დაყრდნობით მოახერხონ.

ᲘᲔᲛᲔᲜᲔᲚᲛᲐ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ

ᲘᲔᲛᲔᲜᲔᲚᲛᲐ სეპარატისტებმა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თვითმმართველობა გამოაცხადეს. ამავე რეჟიმის დაწესებას „სამხრეთის გარდამავალი საბჭო“ იემენის ყველა სამხრეთ პროვინციაში, მათ შორის საპორტო ქალაქ ადენში გეგმავენ.

იემენის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ ალ-ჰადრამიმ „სამხრეთის გარდამავალი საბჭოს“ ქმედებებს შეიარაღებული აჯანყება უწოდა და განაცხადა, რომ დაჯგუფების ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ამ ქმედებებზე.

იემენში კონფლიქტი 2014 წელს დაიწყო. ქვეყნის მთავრობას ირანის მიერ მხარდაჭერილი ამბოხებული ჰუსიტები დაუპირისპირდნენ. კონფლიქტში მალევე საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით მოქმედი კოალიცია ჩაერთო, რომელიც იემენის ხელისუფლებას ავიაიერიშებით ეხმარება.

ᲙᲘᲛ ᲩᲔᲜ ᲘᲜᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘᲐ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ლიდერი კიმ ჩენ ინი ცოცხალია და ჯანმრთელია. ამის შესახებ **Fox News**-ს საგარეო საკითხებში სამხრეთ კორეის პრეზიდენტის მრჩეველმა, მუნ ჩან ინმა განუცხადა.

„კიმ ჩენ ინი ცოცხალია და ჯანმრთელია. 13 აპრილიდან ის ვონსანის რაიონში იმყოფება. არანაირი საეჭვო გადაადგილება ჯერ არ დაფიქსირებულა“, — განაცხადა სამხრეთ კორეის პრეზიდენტის მრჩეველმა.

კიმ ჩენ ინის ჯანმრთელობის შესახებ არსებული ცნობების ფონზე ჩინეთმა ჩრდილოეთ კორეაში მედიკოსების ჯგუფი გაგზავნა.

21 აპრილს კიმ ჩენ ინის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ აშშ ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

მანამდე ტელეკომპანია **CNN**-მა ინფორმაცია გაავრცელა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი გულზე ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ მძიმე მდგომარეობაშია. კიმ ჩენ ინი საზოგადოების წინაშე ბოლოს 11 აპრილს გამოჩნდა, 15 აპრილს კი ის მრავალი წლის განმავლობაში პირველად მისი ბაბუის, კიმ ირ სენის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას არ დასწრებია.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘ?!

ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲡᲝᲮᲣᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ მტრული ინტერესები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის, აფხაზეთის მიმართ კიდევ უფრო შორს წავიდა და იქ ქიმიური ქვედანაყოფი განათავსა. აღნიშნული ქვედანაყოფის განლაგებამ დე ფაქტო აფხაზეთსა და რუსეთს შორის მძაფრი დაპირისპირება გამოიწვია.

ამის შესახებ ინფორმაციას „2020NEWS“-ს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აწვდის. მისივე თქმით, დე ფაქტო რესპუბლიკაშიც კი, ყველას უკვირს, რა მიზნით განათავსა რუსეთმა 18 აპრილს გუდაუთის რაიონში შავი ზღვის ფლოტის რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ქვედანაყოფი — კორონავირუსის პანდემიასთან გასამკლავებლად, თუ იმ ინფორმაციული ომის გასაგრძელებლად, რასაც რუსეთი საქართველოში არსებული ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ აქტიურად აწარმოებს.

ექსპერტის განცხადებითვე, რას აკეთებს აფხაზეთის ტერიტორიაზე შავი ზღვის ფლოტის რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ქვედანაყოფი, ეს შესწავლის საგანი აუცილებლად უნდა გახდეს.

„მართალია, რომ 18 აპრილს აფხაზეთის ტერიტორიაზე, გუდაუთის რაონში შავი ზღვის ფლოტის რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ქვედანაყოფი შემოიყვანეს. დამკვირვებლებისთვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო, რატომ მოხდა იქ მაინცდამაინც ამ ვითომ სამედიცინო და სამხედრო ნაწილის შეყვანა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამ ქვედანაყოფის შეყვანის ამბავი აფხაზეთთან შეთანხმებული არ იყო და ამ ფაქტმა დე ფაქტო ხელისუფლებასა და მოსკოვს შორის რამდენიმესაათიანი დაძაბულობა გამოიწვია.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქვედანაყოფის შეყვანას რუსეთი იმით ხსნის, რომ მოსკოვი აქტიურად ვერ ეხმარება აფხაზეთს და დემონსტრირება მაინც მოხდეს, რომ ეპიდემიის გავრცელების შეკავების მხრივ, მოსახლეობას გარკვეული ფორმით დაეხმარა — ეს არის ოფიციალური ვერსიის ნაწილი“, — განაცხადა არეშიძემ.

ექსპერტის თქმით, რეალურად რა ფუნქციას ასრულებს ქვედანაყოფი აფხაზეთის ტერიტორიაზე მისთვის უცნობია. არეშიძე საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ყურადღებით იყოს.

— თვითონ აფხაზები არიან გაკვირვებულები, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ძალიან საყურადღებო უნდა იყოს ამ სამხედრო ნაწილის გადაადგილება.

მე გამიჭირდება თქმა, რა ფუნქციას ასრულებს რუსეთის სამხედრო ნაწილი აფხაზეთში. ჩავთვალოთ, რომ ეს არის რუსეთისგან განხორციელებული დეკორატიული დახმარების ფორმა, მაგრამ ჩვენ ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ ეს ფაქტი უფრო ლოგიკურად ახსნადი იყოს.

ეს დანაყოფი რას გაუკეთებს ლუგარის ლაბორატორიას? არა მგონია, რომ ეს ნაწილი პირდაპირ ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ იყოს მიმართული, — განაცხადა არეშიძემ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ, სამი დღის წინ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ შესაბამის ორგანოებს მოუწოდა, რომ გუდაუთის რაიონში რუსეთის მიერ შავი ზღვის ფლოტის რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ქვედანაყოფის განთავსების მიზეზი გამოიძიონ.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲖᲐᲠᲜᲐᲫᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ „ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲘᲡ“ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ პანდემია მსოფლიოს თანდათან „დიდი დეპრესიისკენ“ მიაქანებს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის რიგ ქვეყნებში. მკაცრმა კარანტინმა და იზოლაციამ ბევრი კომპანიის მუშაობა შეაჩერა და ხალხიც უმუშევარი დარჩა. ეკონომიკის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს პროცესი უარესი იქნება იმ ძველ „დიდ დეპრესიაზე“, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის 30-იან წლებში დასავლეთში, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამ მომენტისათვის უცნობია უმუშევართა რიცხვი, თუმცა, მათი რაოდენობა ყოველდღიურად რომ იზრდება, ეს ფაქტია.

საქმე ისაა, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში უცნობია, რამდენ ხანს გასტანს კარანტინი და იზოლაცია, ამ გაურკვევლობაში კი, ბევრმა კომპანიამ საერთოდ შეწყვიტა არსებობა. ბიზნესის სფერომ რიგ ქვეყნებში სრული კოლაფსი განიცადა. ანალიზის საფუძველზე, ექსპერტებმა არსებული სიტუაცია 2008-2009 წლებს გაუტოლეს, - მსოფლიო ფინანსური კრიზისის მაშინდელი პერიოდი „დიდ რეცესიად“ მონათლეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა არმია 7 მილიონს მიუახლოვდა, აქედან 750 ათასამდე ადამიანმა მარტსა და აპრილში დაკარგა სამუშაო ადგილი. ეს ნიშნავს იმას, რომ უმუშევართა არმიამ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 4,5 პროცენტს მიაღწია, რაც პირველად მოხდა უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში.

მძიმე პროგნოზს აკეთებს სენტლუისის ფედერალური სარეზერვო ბანკის ხელმძღვანელობა. მათი აზრით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში უმუშევართა რაოდენობა 32 პროცენტამდე აიწევს.

იგივე პრობლემები აქვთ ევროკავშირის ქვეყნებს. სიტუაციას ის ართულებს, რომ ინფიცირებულთა ნაკადს ბოლო არ უჩანს. მაგალითად, საფრანგეთში საშუალო და მცირე ბიზნესის შემოსავალი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში 70-80 პროცენტით შემცირდა.

ევროკავშირის 27 ქვეყნის მეთაურებმა შეიმუშავეს გეგმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელიც გუშინ, 23 აპრილს დაამტკიცეს და ძალაში 1 ივნისიდან შევა. ევროკავშირის ფონდი პირველ რიგში დახმარებას გაუწევს იმ ქვეყნებს, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ პანდემიის პირობებში.

პროგრამა, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკას პანდემიამდელ მდგომარეობაში დააბრუნებს, 540 მილიარდ ევროს გამოყოფას მოიცავს. აქედან უმუშევართა არმიას 100 მილიარდით დაეხმარებიან. ეს პირველი ეტაპია, მეორე ეტაპზე საშუალო და მცირე ბიზნესი 200-მილიარდიან კომპენსაციას მიიღებს, დანარჩენი 240 მილიარდი ევრო გათვალისწინებულია იტალიისა და ესპანეთისათვის. ეს ყველაფერი მოკლევადიანი ექსტრემალური დახმარებაა. გარდა ამისა, 2 ტრილიონამდე ევრო გამოიყოფა ქვეყნების ეკონომიკის სრულად აღდგენისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა და ინსტიტუტებმა (ევროკომისია, ევროპის ცენტრალური ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი) პანდემიის პირობებში უკვე გამოყვეს 3 ტრილიონზე მეტი სხვადასხვა დახმარებისათვის... თუ რა შედეგს გამოიღებს ეს პროგრამა და დააღწევს თუ არა ევროკავშირი თავს „ახალ დიდ დეპრესიას“, ეს ორ თვეში გამოჩნდება.

ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ 540-მილიარდიანი პროგრამა არაა საკმარისი პანდემიის დასამარცხებლად და ეკონომიკის აღდგენისთვის. ამ მოსაზრებას საფრანგეთი, გერმანია და კიდევ რამდენიმე ქვეყანა იზიარებს, ამიტომაც არის რომ ზოგიერთი ქვეყანა კორონავირუსის პანდემიასთან „კოჰაბიტაციის“ პირობებში, ნელ-ნელა ხსნის „კარანტინულ“ შეზღუდვებს, რათა თავი დაიზღვიოს ეკონომიკური კოლაფსისაგან. ამ საქმეში „პირველი მერცხალი“ გერმანიაა, სადაც ყველაფერზე იხსნება შეზღუდვა, ის კი არა, 9 მაისიდან საფეხბურთო ჩემპიონატის განახლებასაც აპირებენ.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲩᲝᲑᲐᲜᲘᲫᲔ,
„ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ“



NEW YORK TIMES: ქართული მონასტრის საიდუმლო სამყაროში

New York Times-ი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს. „A Glimpse 6nside The Secluded World of a Georgian Convent“ ამ სათაურით ფოტოჟურნალისტი რობერტ პრესუტი მკითხველს ჯავახეთს აცნობს.

მსოფლიოში პანდემიით გამოწვეული სამოგზაურო შეზღუდვების გამო გავლენიანმა გამოცემამ ახალი რუბრიკა დაიწყო „მსოფლიო ფოტოობიექტივში“.

„ჩვენი ფოტოჟურნალისტები ვირტუალურად პლანეტის ყველაზე ლამაზ ადგილებში გამოგზაურებენ. ამ კვირაში რობერტ პრესუტი საქართველოს რეგიონში, სამცხე-ჯავახეთში გადაღებულ ფოტოებს გაგიზიარებთ“, — ასე იწყება New York Times-ის სტატია საქართველოს შესახებ, სადაც ფოტო ჟურნალისტი შავ-თეთრი ფოტოებით ფოკის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერს და მონაზონთა ცხოვრებას აღწერს.

„მონაზვნების ნაწილი მინანქარსა და მოზაიკებზე მუშაობს, ნაწილი ჯავახურ ტრადიციულ ტექსტილს, ასევე სანთელს, შოკოლადს და თაფლს ამზადებს. მონაზვნები სოფლის მეურნეობაში არიან ჩართულები. მათ შეისწავლეს ყველის მომზადების წესები და 18 სახეობის ყველს ამზადებენ“, — სტატიაში აღწერილია სოფელი ფოკა და ადგილობრივთა ცხოვრება.

New York Times-ის სტატია საქართველოს შესახებ შემდეგი სიტყვებით მთავრდება — **„დღეს, როდესაც სამყაროში თითოეული ჩვენთაგანისთვის ცვლილებები სწრაფად ხდება, ეს მონაზვნები მთელი მსოფლიოსთვის მშვიდად ლოცულობენ და უძველეს ტრადიციებს ინარჩუნებენ. ჩემთვის ეს ყველაზე დიდი მემკვიდრეობაა“,** — წერს სტატიის ავტორი.

„მოით, მოქუხდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

„...კპლას არს ეკლესია გუნბათიანი... დიდად შვენიერ, სიონი წოდებული ღუთის ...“ — ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.)

და როგორც მკითხველი მიმიხვდა, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ანუ სიონის ტაძრის ისტორიას გიამბობთ.

XIX საუკუნის ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის გადმოცემით, სიონის საკათედრო ტაძრის ადგილზე მდგარი პირველი ეკლესიის მშენებლობა 60 წელზე მეტ ხანს გაგრძელებულა. ტაძრის მშენებლობა დაწყებულა ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს და ტაძარს ასევე... „საფუძველი დასდვა მეფემან გუარამ (კურაპალატი, V ს)... შემდგომად მთავარმან ადარნასემ განაშვენა სრულიად წელსა 631-სა...“

თავიდანვე გეტყვით, რომ დღიდან დაარსებისა მრავალგზის შემუსვრილ სიონის ტაძარს მრავალგზის აღადგენენ ქართველი მეფეები.

XIII საუკუნეში ჯალალ-ედ-დინი ააოხრებს ტფილისს. მისივე ბრძანებით ტაძარს გუმბათის თავს მოხდიან, „ზედ თავის ბილწ საჯდომელს დააშენებს“და ხვარაზმელთა შაჰი სიონის ტაძარში დაიდგამს ტახტს. სწორედ აქედან ადევნებდა იგი თვალს იმ ასიათასი ქართველის წამებას, რომელთაც სიკვდილი არჩიეს ხატების შეურაცხყოფას და „...ვაებითა საზარელით აჴმათაგან იძვროდა...“ ჩვენი თბილის-ქალაქი თურმე...

შემუსვრილი სიონის ტაძარი განაახლა „...მეფემან ვახტანგ მეექუსემან წელსა 1710-სა...“, მაგრამ ტფილისში ლეკები ითარეშებენ მალევე, რა დროსაც სიონის საყდარი გატიალდება და XVIII საუკუნის პოეტი დაწერს — „სიონის ხატი წაიღეს, არავინ იცის სად არი, დატყვევდა დეკანოზიცა, კაცი წმინდათა სადარი“...

XVIII საუკუნეში თურქეთის ფაშა სიონის მეჩეთად გადაკეთებას გადაწყვეტს, მაგრამ თავადი გივი ამილახვარი მთელ თავის გავლენას გამოიყენებს, რათა ისაყ-ფაშასგან ტაძრის ხელუხლებლობის პირობა მიიღოს დიდძალი ძღვენის ფასად და მემატიანე დაწერს: „...ზის ჩლენი უწმინდესისაყყ სრულიად საქართველოჯსა ევღენი... სიონსა ტაძარსა... მწყემსი ტფილისისა“...

ტაძარი უკანასკნელად კიდევ ერთხელ დაზიანდება მაშინ, როდესაც ის „ბოროტი და სისხლით გაფუჭებული“ საჭური-სი აღა-მაჰმად ხანი გადაწვავს ჩვენ თბილის-ქალაქს დღესა სამშაფათსა ... რიცხვსა ენკენისთვესა“, ანუ 1795 წლის 11 სექტემბერს ...

სიონის საკათედრო ტაძარი ის ადგილი გახლავთ, სადაც რუსეთის იმპერატორის მთავარსარდალმა კავკასიაში გენერალმა კ.კნორინგმა, 1802 წლის 12 აპრილს, ქართველ თავად-აზნაურობას აუწყა რუსეთის მეფის ალექსანდრე I-ის მანიფესტი, „...რომელშიაც ფარისევლურად ნათქვამი იყო, ვითომც ეს აქტი (ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის გაუქმება) მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყოს ნაკარნახევი“ (ივ. ჯავახიშვილი).

მოვლენები ასე განვითარებულა — გენერალმა კნორინგმა იცოდა რა, ქართველი ხალხი სამეფო ტახტის გაუქმებას არ შეეგუებოდა, გადაწყვიტა Тифлисскую знать, для знакосмтва, სიონის ტაძარში შეკრიბოს. ტაძარში შეკრებილი Тифлисская знать რუსეთის არმიის ალყაში აღმოჩნდება და კნორინგი ქართველ დიდებულთ იმპერატორის გვირგვინზე ფიცის დადებას აიძულებს. დიდებულები აღშფოთდებიან გენერლის უმსგავსო საქციელით... მრავალმა იმოდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ შემორტყმულ ჯარს არ შეუშინდა, ძალით ფიცი არ მიიღო და ეკლესიითგან გავიდა. გენერალმა ბრძანება გასცა, რომ უკმაყოფილონი დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ... დაჭერით კი ბევრი დაიჭირეს 12 აპრილის იმ წვიმიან დღეს...

რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში სიონის საკათედრო ტაძარში საღვთო ლიტურგია მალევე შეწყდება და ტაძარს საეკლესიო ნივთების შესანახად გამოიყენებენ მხოლოდ ...

სიონის ტაძარში ღვთისმსახურება მოგვიანებით ისევ აღდგება მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის მმართველობის პერიოდში (1844-1854 წწ.), რა დროსაც ტაძარი სრულიად განახლდება და ვორონცოვის ბრძანებითვე ტაძრის კედლებს ცვილის საღებავებით ულამაზესად მოხატავს თავადი გრიგოლ გაგარინი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკლესიებს კუთვნილი ქონება ჩამოერთმევათ, ქონება ჩამოერთმევა სიონის საკათედრო ტაძარსაც და ზარები სიონში უკანასკნელად 1931 წლის 27 იანვარს დარეკავს...

* * *

სიონის ტაძარში ლიტურგია მოგვიანებით აღდგება, ხოლო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების შემდგომ, სიონის ტაძარი სრულყოფილად განახლდება...

უძველესი და მრავალჭირგადანახადი უფლის სახლი, ღვთისმშობლის მიძინების დიდებული ტაძარი სიონისა, დღესაც ანცვიფრებს მრევლს თავისი სიდიადით!..

ღვთისმშობელმა სული შეავედრა უფალს და სიონის მთაზე მიიძინა...

ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებისკენ

კახეთის რეგიონში ცხვრის გადარეკვის სეზონი ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებისკენ ოფიციალურად პირველ მაისს გაიხსნება. მანამდე,



კახეთის რეგიონის მასშტაბით, ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებში, ვეტერინარების მიერ სრულიად უფასოდ, პირუტყვის ბიოლოგიურ-ვეტერინარული დამუშავება აქტიურად მიმდინარეობს. პროცესი ჯანდაცვის უწყების რეკომენდაციების გათვალისწინებით ხდება.

მიმდინარე წელს, დაახლოებით 40 000 სული ცხვრის თუშეთის, ხოლო 280 000 სული ცხვრის სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით გადარეკვა მოხდება.

2019 წლის მონაცემებით, 200 000 სულზე მეტი ცხვრის ექსპორტი განხორციელდა. ერთი კილოგრამი გუდის ყველის ფასი კი დაახლოებით 20-30 ლარის ფარგლებშია.

ეხმარებიან სოციალურად დაუცველებს

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სასურსათო პროდუქტის დარიგება მიმდინარეობს.

რეგიონის მასშტაბით უკვე გაიცა 12 ათასზე მეტი ოჯახისთვის სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტი. ამჯერად პროდუქტი რიგდება „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ დახმარებით, რომელიც გადაეცემა მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახებს. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სურსათის დარიგების პროცესი კვლავ გრძელდება. მოსახლეობის დახმარებას მუნიციპალიტეტებთან ერთად აქტიურად ახორციელებენ კერძო სექტორის წარმომადგენლები.

რეგიონში სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან ერთად, სასურსათო პროდუქტი დაურიგდა საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს. ამასთან მუშაობას აგრძელებს უფასო სასადილოები, რომელთა ბენეფიციარები საკვებს შინ იღებენ.

◎ ფეხბურთი

ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

უეფამ ეროვნულ ფედერაციებს წერილი გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც 25 მაისამდე მისცა ვადა, გაარკვიონ სეზონის მომავალი. ინფორმაციას Sky Sport-ი ავრცელებს.

როგორც გამოცემა იტყობინება, უეფამ ლიგის ხელმძღვანელობებს 25 მაისამდე გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდა — დასრულდება თუ არა ჩემპიონატები, ხოლო განახლების შემთხვევაში რა ფორმატით მოხდება გაგრძელება და როდის ჩატარდება ბოლო ტურის მატჩები. **შეგახსენებთ, რომ ევროპაში ნიდერლანდებმა და ბელგიამ სეზონი უკვე დასრულებულად გამოაცხადეს. ბელგიაში ჩემპიონად „ბრიუგე“ დასახელდა, ხოლო ნიდერლანდებში — არავინ.**

გიორგი ზოთაძე

◎ მძლეოსნობა

ფორუმი გაუქმდა

EUROPEAN ATHLETICS CHAMPIONSHIPS PARIS 2020

კორონავირუსის პანდემიის გამო ევროპის მძლეოსნობის ფედერაციამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის გაუქმების შესახებ. ეს ფორუმი 26-30 აგვისტოს პარიზში უნდა გამართულიყო. **„ჩვენ ყველა შესაძლო ვარიანტი განვიხილეთ, რადგან იმედი გვქონდა, რომ სიტუაცია სწრაფად შეიცვლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა,** — განაცხადა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **ჟან გრასიამ**. უფრო ადრე ტოკიოს ოლიმპიური თამაშების გადავადების გამო 2022 წლისთვის გადაიდო „სპორტის დედოფლის“ მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლისთვისაც 2021 წელს იუჯინს (აშშ) უნდა ემასპინძლა.

გეჟან დოლიძე

◎ ლეგიონერი

იზოლაციაში ვარჯიშობს

გამოიკვეთა ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის დასრულების კონტურები და მონახაზი ასეთია: პლეი ოფში 12 გუნდი გავა, რომლებიც კანარის რომელიმე კუნძულზე შეიკრიბებიან და 10 ივლისამდე ჩემპიონს გამოავლენენ.მანამდე პლეი ოფის შესაძლო მასპინძელ „გრან კანარიას“ ქართველი ლეგიონერი სპეციალური პროგრამით სახლის პირობებში ვარჯიშობს და გასართობ საშუალებად ონლაინ-თამაშებს იყენებს. ბექა ბურჯანაძე, ისევე როგორც „გრან კანარიას“ 12-ივე წევრი, მკაცრ კარანტინში არიან და იმედი აქვთ, ესპანური ლიგა გაგრძელდება და მათი კლუბი პლეი ოფის ყველა შეხვედრას ლას პალმასში უმასპინძლებს. ბექა ბურჯანაძეს კანარის კუნძულზე შევეხმიანეთ და ესპანური ლიგის ცხელ-ცხელ ამბებთან ერთად მის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მომავალ ევრობასკეტზე ვესაუბრეთ.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფრენები შეწყვეტილი არ იყო და შეიძლებოდა მგზავრობა, გუნდის წევრები გაგვაფრთხილეს, რომ არავის არ გვქონდა კუნძულის დატოვების უფლება. შესაბამისად, ყველანი კანარზე ვართ, საკუთარ სახლებში, მკაცრად ვიცავთ კარანტინის პირობებს და ველოდებით ჩემპიონატის გაგრძელებას.

გვაქვს სავარჯიშო პროგრამა, რომელიც გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელმა შეგვიდგინა. თორმეტივე კალათბურთელს დაგვირიგეს ველო-ტრენაჟორი, რათა ფიზიკური კონდიციები შევინარჩუნოთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან ძნელია, როცა ბურთთან შეხება არ გაქვს, არ ამოვარდე რიტმიდან, თუმცა, მაქსიმუმს ვაკეთებ და „ფიზიკის“ შენარჩუნებით ვცდილობ ყველაფრის კომპენსირება მოვახდინო. ვფიქრობ, ცუდად არ გამომდის და თუკი სეზონი გაგრძელდა, რისი დიდი იმედიც მაქვს, თამაშებს მოუმზადებელი არ შევხვდები.

სამწუხაროდ, ჩემი მეუღლე და პატარა გოგონა აქ არ არიან. სწორედ მაშინ, როცა აპირებდნენ საქართველოდან ესპანეთში წამოსვლას, 1-2 დღით ადრე იფეთქა კორონავირუსმა და ასეთი მასშტაბის პანდემია დაიწყო. მაშინ გული კი დამწყდა, მაგრამ ამ გადმოსახედიდან, მათი უსაფრთხოებისთვის, ნამდვილად სჯობდა სამშობლოში მათი დარჩენა და იმ მგზავრობის თავიდან არიდება, რაც მათ ლას პალმასამდე ელოდათ სხვადასხვა თვითმფრინავებსა და აეროპორტებში. სამწუხაროდ, ძალიან მიჭირს, რომ აქ მარტო ვარ, თუმცა, თბილისში უფრო დაცულები არიან და ესაა მთავარი.

კანარის კუნძულებზე არაა ისეთი საგანგაშო ვითარება, როგორიც მადრიდში, ბარსელონასა და კონტინენტური ესპანეთის სხვა დიდ ქალაქებში. სწორედ ამიტომაც გადაწყდა, რომ თუ ესპანეთის ჩემპიონატი გაგრძელდა, ეს მოხდება კანარის კუნძულებზე. პროცენტულად ესპანეთში ყველაზე ნაკლები ინფიცირებული კანარის კუნძულებზეა, რომლებიც აფრიკის კონტინენტთან ბევრად უფრო ახლოსაა, ვიდრე პირენეის ნახევარკუნძულთან, რომელზეც ესპანეთი მდებარეობს.

საქართველოს ნაკრებს მართლაც დიდი პოტენციალი გააჩნია. 2 ურთულესი მატჩი მოვიგეთ ისე, რომ არაერთი წამყვანი მოთამაშე გვაკლდა და თანაც, მაშინ, როცა სატურნირო თვალსაზრისით სანერვიულო არაფერი გვქონდა. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები ვართ და, მოგეხსენებათ, ევრობასკეტის საგზური განაღდებული გვაქვს. ასეთ ვითარებაში შვეიცარიისა და, განსაკუთრებით, სერბეთის დამარცხება ხაზს უსვამს ქართულ, მებრძოლ ხასიათს, რომ არასდროს არ ვნებდებით და ყველა თამაშზე გასამარჯვებლად გავდივართ. ძალიან მოხარული ვარ, რომ მომეცა შანსი, ასეთ მატჩებში დამეცვა ჩვენი ქვეყნის სახელი და დავხმარებოდი საქართველოს ნაკრებს გამარჯვების მოპოვებაში.

სამწუხაროდ, ევრობასკეტმა 1 წლით გადაიწია, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ჩვენ სახლში ვთამაშობთ და ვმასპინძლობთ ამ უდიდეს ტურნირს, რომლის წინა 4 ჩემპიონატის ჩატარება საზღვარგარეთ გვიხდებოდა. უმნიშვნელოვანესია, რომ ევრობასკეტის დაწყებამდე ყველა მოთამაშე ტრავმის გარეშე მივიდეს, სხვა მხრივ კი ჩვენი პოტენციალი უსაზღვროა და მჯერა, საკუთარი ქომაგების თვალწინ მეტი შემართებით ვითამაშებთ და ვასახელებთ საქართველოს. მთელი გულით, მოუთმენლად ველი ევროპის ჩემპიონატს და მჯერა, ასეა ქართული კალათბურთის ყველა გულშემატკივარი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ადამიანი დროში

მუდამ ფრენბურთთან ერთად



1964 წელს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, მასპინძელთა წინადადებით, ძიუდოს მსგავსად, პირველად შეიტანეს ფრენბურთი. შეჯიბრების ფავორიტად ოთხ გუნდს მიიჩნევდნენ: მსოფლიოს ორგზის ვერცხლის პრიზიორ ჩეხოსლოვაკიას, ევროპის ჩემპიონ რუმინეთს, მასპინძელ იაპონიასა და, ცხადია, ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულ საბჭოთა ნაკრებს, რომლის ღირსებასაც თბილისელი ვაჟა კაჭარავაც იცავდა.

დაიბადა 1937 წლის 2 იანვარს. ფრენბურთს თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკსა“ (1955-1964) და მოსკოვის „დინამოში“ (1965-1971), იყო ამ გუნდების კაპიტანი, რვა წლის განმავლობაში (1959-1967) საკავშირო ნაკრების ღირსებას იცავდა. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების (1964) გამარჯვებული გახლავთ ევროპის ჩემპიონი (1967) და ბრინჯაოს პრიზიორი (1963), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე-ადგილოსანი (1966), მსოფლიოს თასის მფლობელი (1965), უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1963, 1965), საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1965), საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ორგზის მეორე (1967, 1971) და მესამე პრიზიორი (1963); მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული წლების განმავლობაში ამავე სასწავლებლის ფიზაღზრდის კათედრაზე მუშაობდა, ბაუმანელთა გუნდსა და სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებდა, აღზარდა 20 სპორტის ოსტატი, 6 საერთაშორისო კლასის სპორტისა და ერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი — ვლადიმირ ჩერნიშოვი, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი და მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. იყო საბჭოთა კავშირის სტუდენტური და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელი, არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, რუსეთის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. 1990 წელს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

მომავალი ოლიმპიური ჩემპიონის ფრენბურთთან ნაცნობობა აბაშიდან დაიწყო, სადაც საზაფხულო არდადეგებისას ჩაჰყავდათ მშობლებს. ერთხელ კარის მეზობელმა ალეკო ჩოჩიამ თანატოლ ბიჭებს სპორტის ახალი სახეობა გააცნო — ქვიშხეთში დასვენებისას უნახავს, თავისუფალ დროს რუსთაველის თეატრის სახელოვანი მსახიობები თამაშობდნენ თურმე, ფრენბურთს. მერე თბილისში სკოლის მეგობარმა მიიყვანა ფრენბურთის სექციაზე შოთა მარგიშვილთან, არადა, თავად ფეხბურთით იყო გატაცებული. თანაც მის ეზოში „დინამოს“ ცნობილი მეკარე ვალტერ სანაია ცხოვრობდა.

მალევე აუღო ალღო ფრენბურთის საიდუმლოებებს. ექვსი თვის შემდეგ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ძირითად ექვსეულში იყო. მალე საქართველოში უძლიერესი თავდამსხმელი გახდა. 1957 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს.

ვაჟა კაჭარავამ 1959 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზეც გამოიჩინა თავი. ეტყობა, საბჭოეთის ფრენბურთის მამებმა შეამჩნიეს და პირველ ნაკრებში უხმეს, რომლის მთავარი მწვრთნელი გივი ახვლედიანი გახლდათ.

ქართველმა ფრენბურთელებმა საერთაშორისო სარბიელზე რამდენიმე სხვადასხვა ხარისხის უმაღლესი ჯილდო დავიმსახურეთ, — ამბობს ბატონი ვაჟა. — გივი ახვლედიანი 1952 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მე კი ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ერთად ორჯერ მსოფლიოს უნივერსიადა, თითოჯერ ევროპის ჩემპიონატი და მსოფლიოს თასი მოვიგე. 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ტოკიოში ჩემთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი სტანისლავ ლუგაილო გახდა, ხოლო მისმა თანაქალაქელმა ვლადიმირ დოროხოვმა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე ფრენბურთში ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. 1963 წელს ბრაზილიის ქალაქ პორტუ ალეგრიში საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც ჩემთან ერთად თბილისელები — სტანისლავ ბუინოვი, ედუარდ ობიტკო და ვლადიმირ გავრილენკო გამოდიოდნენ, პირველ მსოფლიოს უნივერსიადაში გაიმარჯვა.

— ყველაზე მნიშვნელოვანი , ცხადია, 1964 წლის ოლიმპიური თამაშებია...

— ტოკიოს ოლიმპიადის გახსნამდე ორი დღით ადრე ბულგარელ ფრენბურთელებთან ამხანაგური მატჩი 2:3 წავაგეთ, რის გამოც გვარიანად შეგვახურეს. ეტყობა, ამან დადებითად იმოქმედა ჩვენზე. არადა, საბჭოთა ნაკრებს მაშინ ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა. ძირითად ექვსეულში გამოდიოდნენ ფრენბურთელები, რომლებმაც 1960 და 1962 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგეს.

მართალია, სათადარიგო ვიყავი, მაგრამ ნებისმიერ პოზიციაზე შემეძლო თამაში. შვიდ მატჩში მივიღე მონაწილეობა, ოთხ პაექრობაში შეუცვლელად ვითამაშე, ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო მასპინძლებთან, დანარჩენებში ვძლიეთ მეტოქეებს და პირველი ადგილი დავიკავეთ.

— ნაკრებისკენ თქვენი გზა ყოველთვის ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა.

— თავიდან მოსკოვში გადასვლაზე უარი ვთქვი და გამიბრაზდნენ — 1960 წელს ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე არ გამომიძახეს. მერე, ეტყობა, გული მოუბრუნდათ და ისევ მიხმეს ნაკრებში. ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ 1966 წელს მსოფლიოზე მესამე ვიყავი, მომდევნო წელს ევროპაზე — პირველი. გუნდის უპირობო ლიდერი 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზეც უნდა წავეყვანე, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო საკავშირო ნაკრებს მიღმა აღმოვჩნდი. მაშინდელმა მწვრთნელებმა მხოლოდ 25 წლის შემდეგ მომიბოდიშეს...

აქტიურ სპორტთან განშორების მერე ვაჟა კაჭარავამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი — ჯერ მოსკოვში, შემდეგ საქართველოში ავარჯიშებდა გუნდებს. 1989 წელს საინიციატივო ჯგუფის შექმნის პირველი დღიდანვე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელთა გვერდით იყო და სეოკ-ის პირველი პრეზიდიუმის წევრადაც აირჩიეს.

წლების სიმძიმის მიუხედავად, ვაჟა კაჭარავა დღესაც ქართულ სპორტს ემსახურება.

ვაჟა დანელია

არდავიწყება

ზარიბეგ ბერიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი სპორტსმენის, მსოფლიოს ჩემპიონის, სამგზის მეორე პრიზიორის, ევროპის სამგზის ჩემპიონის, ორი ოლიმპიადის მონაწილის, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, ფილას ორდენის კავალერის **ზარიბეგ ბერიაშვილის** გარდაცვალების გამო.

ზარიბეგ ბერიაშვილი დაიბადა 1939 წლის 10 სექტემბერს ქ. თბილისში. 1957 წელს საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1964 წელს. სწორედ ინსტიტუტში სწავლისას დაიწყო მისი დიდი სპორტული კარიერა.

სპორტით გატაცებას მისთვის ხელი არ შეუშლია, კარგად დაუფლებოდა მის მიერ არჩეულ რთულ საინჟინრო სპეციალობას და მიეღო ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციამ მას თავისი უმაღლესი ჯილდო-FILA-ს ორდენის კავალერის წოდება მიანიჭა. იგი დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით.

2015 წელს ზ. ბერიაშვილს მიენიჭა ქართული სპორტის რაინდის საპატიო წოდება. თბილისში ფალავანთა კლუბთან გახსნილია ზარიბეგ ბერიაშვილის ვარსკვლავი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს საინჟინრო აკადემია

გარდაიცვალა გამოჩენილი სპორტსმენი, მსოფლიოს ჩემპიონი და სამგზის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, ორი ოლიმპიადის მონაწილე, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფილას ორდენის კავალერი

ზარიბეგ ბერიაშვილი

მისი ამ ქვეყნიდან წასვლამ გული დასწყვიტა მის ახლობლებს და მეგობრებს.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ზარიბეგ ბერიაშვილის გარდაცვალების გამო, თანავუგრძნობთ და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.

დ. გურგენიძე, ჯ. ბაგრატიონი, ზ. გასიტაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გორგიძე, ლ. კლიმიაშვილი, კ. კოპალიანი, შ. ნაჭყებია, გ. სალარაძე, ა. ფრანგიშვილი, ო. წეროძე, ნ. იაშვილი

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის სახელით, კავშირის თავმჯდომარე გურამ სალარაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული სპორტსმენი და მოქალაქე, უკეთილშობილესი პიროვნება და მეგობარი, ქართული სპორტის რაინდი, მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი

ზარიბეგ ბერიაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს — მეუღლე ირინას, შვილებს — ზალიკოს და ივას, სრულიად საქართველოს სპორტულ საზოგადოებას, სახელოვანი მოჭიდავის ნიჭის თაყვანისმცემლებს.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს.

სანთელი



უახლოესი მეგობრები ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, გურამ გუნავა, ბონდო ჯიქია, რაულ ჯახია, ვალერი ჭანტურია, ოთარ და ლერი ჭითანავები, რობერტ უბილავა, ჯემალ კვირტია, ზურაბ გოგოხია, გივი სოსელია, გული აგუმავა, ამირან მითაგვარია, დემურ ჭანტურია, ვაჟა ფიფია გულისტკივილით იუწყებიან ღვაწლმოსილი და დამსახურებული ჟურნალისტის, მწერლისა და პუბლიცისტის, ყველასთვის საყვარელი პიროვნების, ჩვენი ძმისა და მეგობრის, ბატონ

ენვერ ჩიქავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის შვილებს, შვილიშვილებს, დას ნელის, უახლოეს ნათესავებს და მეგობრებს.

მან მთელი ცხოვრების 80 წლის მანძილზე იცხოვრა და იღვაწა სამაგალითოდ და წარმატებულად.

ბატონ ენვერისთანა ადამიანებს მისი დამსახურების გათვალისწინებით დავიწყება არ უწერია. იგი მუდამ იცოცხლებს ჩვენს ხსოვნაში.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული.

ხსოვნა

თან წაიღო თავისი წილი მზის სინათლე

ანდრო ხეთაგურის ხსოვნას

დადიოდა ამ ცოდვილ მიწაზე გოლიათი ვაჟკაცი სავსე პატიოსნებით, სიყვარულით, სითბოთი, ღრმად განათლებული, უღალატო, ალალმართალი... დადიოდა უფლის მცნებათა მოყვარული და მტკიცედ დამცველი.

ასე იცხოვრა **ანდრო ხეთაგურმა** 54 წელი.

დაიბადა და გაიზარდა თბილისში, ერთ რიგით ინტელიგენტურ ოჯახში. ლაღი ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ მამის ნაადრევმა და უეცარმა სიკვდილმა 14 წლის ანდრო დააბრძენა, სევდის დაღი დაასვა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. დედასა და უმცროს ძმაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა მოეძალა. ეს კი მისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა; გულჩათხრობილი გახდა, ჩაიკეტა. სკოლიდან დაბრუნებული სახლიდან აღარ გადიოდა — ელოდებოდა ძმის მოსვლას, დედის ზარს, წუხდა და დიდად განიცდიდა დედის არანორმირებულ სამუშაოს, იზიარებდა მის ყოველგვარ სატკივარს — პირადულს და სამსახურებრივს.

თავშესაფარი წიგნებში პოვა. დედ-მამის უპირველესი ფასეული შენაძენი მხოლოდ წიგნები ჰქონდა — მსოფლიოს ხალხთა მიერ შექმნილი შედევრები მხატვრული თუ ტექნიკური ლიტერატურის სახით... კითხულობდა ქართულად, რუსულად, ინგლისურად... წიგნი გახდა მისი უახლოესი მეგობარი, თანამზრახველი, მთელი მისი სამყარო.

სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა დედაუნივერსიტეტში, ფიზიკის სპეციალობას დაეუფლა; რამდენიმე წელი იქვე მუშაობდა ლაბორატორიაში, შემდეგ აქტიურ ცხოვრებაში ჩაება და სამოქმედო სფეროდ ენერგეტიკა აირჩია — ჯერ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში, შემდეგ „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კომპანია „ენერგოტრანსში“ მუშაობდა ეკოლოგიის ექსპერტად, მასზე დაკისრებულ მოვალეობას უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებდა, ახასიათებდა მაღალი კომპეტენტურობა, კოლეგიალობა, ყველა საჭირო შემთხვევაში უანგარო დახმარება და თანადგომა. იყო უაღრესად მოკრძალებული და თავმდაბალი. სწორედ ამიტომაც სარგებლობდა თანამშრომელთა შორის ავტორიტეტითა და პატივისცემით.

მისთვის სახელმწიფოებრივის გარდა, უპირველესი საზრუნავი ერთადერთი ძმისშვილის კარგ ყმად ჩამოყალიბება იყო. გაუმართლა კიდეც, მან დედაუნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა და ასევე წარმატებით აგრძელებს სწავლას მაგისტრატურაში.

მუდმივად ზრუნავდა ხანდაზმული დედის ჯანმრთელობაზე.

საკუთარ თავზე კი ნაკლებად ფიქრობდა, არ უყვარდა ექიმთან ვიზიტი, რამაც მისი ჯანმრთელობის პრობლემა განაპირობა. გარდაუვალი გახდა ოპერაცია.

მიუხედავად სამედიცინო პერსონალის მონდომებისა, სამსახურის ხელმძღვანელობის მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერისა და თანადგომისა, ოპერაციის შედეგი ფატალური აღმოჩნდა.

მე-40 დღეა, რაც ერთი ლამაზი, სულიერად მდიდარი სიცოცხლე შეწყდა.

განერიდა სამყაროში დღეს დატრიალებულ ჭირ-ვარამს და ზეციურ საქართველოში გადავიდა. როგორც დიდი ილია იტყოდა — „თან წაიღო თავისი წილი მზის სინათლე“, ამქვეყნიური ცხოვრების ხიბლი, ნაცნობ-მეგობართა დიდი სიყვარული.

დაგვიტოვა გაუსაძლისი ტკივილი და სევდა. დააობლა საყვარელი ძმის ოჯახი, ფრთამოტეხილი დატოვა თავისი საამაყო ძმისწული.

სიცოცხლე სასჯელად გაუხადა სათაყვანებელ ხანდაზმულ დედას. ჩვენო საყვარელო ლია, ბედმა უმკაცრესი და ულმობელი გამოცდა მოგიწყო. ძნელია ამ უბედურების გადალახვა, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს შენი დიდი გონიერების, შინაგანი სიმტკიცისა და ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილების.

გვჯერა, რომ ანდროს მართალი და უმწიკვლო სული უფლის მარადიულ საუფლოშია დავანებული, სადაც „არ არის ჭირი, მწუხარებაი, არა ურვაი, არცა სულთქუმაი, არამედ სიხარული და ცხოვრებაი იგი დაუსრულებელი“.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, რომელსაც ასე ამშვენებდი ჩვენო კეთილშობილო რაინდო — ანდრო!

მეგობრები.
2020 წლის აპრილი

საქართველოში კორონავირუსით მეექვსე პაციენტი გარდაიცვალა

საქართველოში კორონავირუსით მეექვსე პაციენტი გარდაიცვალა. ამის შესახებ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორმა ლევან რატიანმა ჟურნალისტებს განუცხადა. გარდაცვლილი 83 წლის მამაკაცია, მას თანმხლები დაავადებები აწუხებდა.

ოკუპირებულ აფხაზეთში ვირუსით 95 წლის ქალი დაიღუპა

პაციენტს თანმდევი ქრონიკული დაავადებები აღენიშნებოდა. დაავადებულს კორონავირუსის დიაგნოზი 11 აპრილს დაუდასტურდა, თუმცა ის თავდაპირველად ჰოსპიტალიზაციაზე უარს აცხადებდა. კლინიკაში კი მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, 20 აპრილს გადაიყვანეს.

საავადმყოფოში შესვლისას პაციენტს ორმხრივი პოლისეგმენტური პნევმონია, ასევე მწვავედ გამოხატული ჰიპერტონია და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა აღენიშნებოდა.

ასტრიდ ლინდგრენის პრემიაზე საქართველომ ახალი კანდიდატები წარადგინა

23 აპრილს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ ასტრიდ ლინდგრენის პრემიაზე საქართველოს კანდიდატები დაასახელა. ესენია:

1. ირმა მალაციძე — მწერალი, მასწავლებელი, ჟურნალ „შოკოლიტის“ რედაქტორი, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი;

2. ნიქოზის წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის ხელოვნების სკოლა.

წელს წარდგენილ კანდიდატთა შორის გამარჯვებული 2021 წლის გაზაფხულზე გამოვლინდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოდან ყოველწლიურად ორ კანდიდატს წარადგენს ასტრიდ ლინდგრენის პრემიაზე. საბავშვო მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჯილდო მსოფლიოში ყველაზე დიდი პრემიაა ბავშვთა ლიტერატურის სფეროში, რის გამოც მას მეტსახელად „საბავშვო ნობელს“ უწოდებენ. 5 მილიონი შვედური კრონა (დაახლოებით 440 000 ევრო) ყოველწლიურად ერთ ან რამდენიმე გამარჯვებულს გადაეცემა.

პრემიაზე წარდგენილთა სრული სიის პრეზენტაცია ხდება ყოველწლიურად ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, ხოლო გამარჯვებული ცხადდება ყოველწლიურად, მარტში ან აპრილში, ბოლონიის საბავშვო წიგნის ბაზრობასა და სტოკჰოლმში.

ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ შეიძლება ნომინირებულნი იყვნენ ავტორები, ილუსტრატორები, ზეპირი მთხრობელები და ბავშვთა კითხვის პოპულარიზაციის ხელშემწყობი კერძო პირები თუ ორგანიზაციები. სხვადასხვა დროს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ პრემიაზე წარადგინა: **ზაზა აბზიანიძე** — მწერალი, **ნინო ჩაკვეტაძე** — მხატვარი, **სოფიო კინწურაშვილი** — ილუსტრატორი, **თამრი ფხაკაძე** — საბავშვო მწერალი, **თეა თოფურია** — მწერალი, წიგნის ხელოვნების ცენტრი (ხელმძღვანელი **ოთარ ყარალაშვილი**), **ნატო დავითაშვილი, ინგა გოგიბერიძე** — მწერალი, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, **ვასილ გულეური** — მწერალი, **გურამ პეტრიაშვილი** — მწერალი, **მარიამ წიკლაური** — მწერალი, **ბონდო მაცაბერიძე** — მწერალი, გამომცემელი, **გიორგი ჩაჩანიძე** — ილუსტრატორი, **სანდრო ასათიანი** — მწერალი და ილუსტრატორი.

ალ პაჩინო იუბილარია

„ჰოლივუდის ნათლიმამად“ წოდებულ ლეგენდარულ მსახიობს დღეს 80 წელი შეუსრულდა.

ალ პაჩინო 1940 წლის 25 აპრილს ნიუ იორკში დაიბადა. თეატრალური კარიერა მან გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, 70-იანი წლებიდან კი მსახიობს ფილმებში იღებენ.

განსაკუთრებული პოპულარობა ალ პაჩინოს ფილმებში „ნაიარევი სახე“, „სერპიკო“, „საფრთხობელა“, „ნათლია“, „ქალის სურნელი“ შესრულებულმა როლებმა მოუტანა.

მსახიობი „ოსკარის“, „ოქროს გლობუსისა“ და სხვა პრესტიჟული ჯილდოების არაერთგზის მფლობელია. ბოლოს ის კუენტინ ტარანტინომ 2019 წელს ფილმში „ერთხელ ჰოლივუდში“ გადაიღო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

სანთელი



პატარა აკაკის უპირველესი გმირი

კიდევ ერთი დიდებული ქართველი გამოაკლდა ჩვენ ქვეყანას. გარდაიცვალა შესანიშნავი ჟურნალისტი, მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, ყველა ქართველისათვის უსაყვარლესი ფილმის „აკაკის აკვანის“ უპირველესი გმირი — პატარა აკაკის როლის ბრწყინვალე შემსრულებელი **ომარ ჩიტაია**. განუზომელია მისი ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის, ქართული სიმღერის განვითარებაში. მისი საოცარი თავმდაბლობა, მოკრძალება, ღირსეული მასწავლებლებისა და მამულიშვილების მიმართ გასაოცარი მოწიწება, პატივისცემის გრძნობა, ამაგის დაფასების უნარი, მართლაც რომ სამაგალითოა მისი თანამედროვეების, ახლობლებისა და მეგობრებისათვის. ძალზე სამწუხაროა, რომ შექმნილი ვითარების გამო, ამ ჩუმ, უხმაურო და ღვაწლმოსილ კოლეგას გამოსამშვიდობებელი სიტყვაც ვერ ვუთხარით ამ საწუთროდან გაცილების ჟამს. ნათელში იყოს დიდებული კაცის ომარ ჩიტაიას სული, მსუბუქი იყოს მისთვის საყვარელი ქართული მიწა.

ივანე ჯაფარიძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ვუერთდებით ქართველი საზოგადოების გულისტკივილს კოლეგის, შესანიშნავი მომღერლის, ჩვენი გაზეთის ერთგული ავტორის, თავმდაბალი და სულგრძელი პიროვნების

ომარ ჩიტაიას

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს დიდებული კაცის სული.

კიდევ ერთხელ



ამერიკელ მსახიობ რიჩარდ გირს ვაჟი შეეძინა. 70 წლის გირისთვის და მისი 37 წლის ცოლისთვის ალესანდრა სილვასთვის ეს უკვე მეორე საერთო შვილია. 14 თვის წინ მათ უფროსი ვაჟი გაუჩნდათ. ორივეს ჰყავს თითო შვილი წინა ქორწინებებიდან. გირი და სილვა 2018 წელს დაქორწინდნენ, ერთად კი 2015 წლიდან არიან.

68 წლის ნიგერიელმა ქალმა ტყუპი გააჩინა

მარგარეტ ადენუგამ სასურველ შედეგს ხელოვნური განაყოფიერების მეოთხე ცდაზე მიაღწია. ქალისთვის ეს პირველი მშობიარობა იყო. მისი 77 წლის ქმარი ნოა ამბობს, რომ წყვილი 1974 წელს დაქორწინდა და შვილების ყოლაზე ყოველთვის ოცნებობდა.

„მეოცნებე ვარ და დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ჩვენი ოცნება ახდებოდა“, — განაცხადა მან. ბიჭი და გოგო ლაგოსის უნივერსიტეტის ჰოსპიტალში, საკეისრო კვეთით ორსულობის 37-ე კვირას დაიბადნენ, ისინი სრულიად ჯანმრთელები არიან. ექიმები აღნიშნავენ, რომ ასეთ ასაკში მშობიარობას ბევრი სირთულე მოჰყვება, თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერმა უპრობლემოდ ჩაიარა.

ორსულობის შესახებ მშობიარობის წინ შეიტყო

15 აპრილს 18 წლის ავსტრალიელმა ემბერ სმიტმა შხაპის მიღებისას თავი ცუდად იგრძნო. „მუცლის არეში საშინელი დაჭიმულობა ვიგრძენი, რამდენიმე წამში კი წყლები დავლვარე და დავიყვირე“, — ამბობს გოგო. ყვირილის ხმაზე აბაზანაში მისი საქმრო შევიდა, რომელმაც დაინახა, რომ მის საცოლეს მშობიარობა დაეწყო.

როგორც სმიტი ამბობს, მას არც კი უეჭვია, რომ ორსულად იყო. „ეს 9 თვე ჩემთვის ჩვეულებრივი იყო. ციკლი ყოველთვის არარეგულარული მქონდა, ამიტომაც უჩვეულო არაფერი შემიმჩნევია. მშობიარობამდე მუცელი გამეზარდა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ეს ძლიერი მადის ბრალი იყო“, — ამბობს ემბერ სმიტი.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2027; ევრო - 3.4551;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9537;
100 რუბლი - 4.3031; თურქული ლირა - 0.4593;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8856;
1000 სომხური დრამი - 6.6698.

ამინდი 27 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge